ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

· სპორტული გაზეთი · ოთხშაბათი 14 აგვისტო 2002 №151 (1673) · ფასი 50 თეთრი

# ავარია!

## ქართული სამართალი ფიფას მეორედ დაეჯახა

### უწესო წესდებამ, შესაძლოა, ქართულ ფეხბურთს წესი აუგოს

არად დაგიდევთ ეს ჩვენი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო ფიფას წეს-კანონებს. ჯერ იყო და, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის დავით პეტრიაშვილის სფფ-ს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა, გუშინ კი პრეზიდენტობის მოსურნე მეორე კანდიდატის, ასევე ფედერაციის წინააღმდეგ ამხედრებული ვაჟა ჩხაიძის პრეტენზიები მიიჩნია სამართლიანად და 24 აგვისტოს გასამართ ყრილობაზე სფფ-ს დელეგატთა ხმების განაწილების წესი დაუწუნა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ აირია მონასტერი. აქეთ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, იქეთ ფიფას წერილ-ფაქსები.

მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ მოსამართლე კვარაცხელიას გუშინდელ განაჩენს, სავარაუდოდ, მისი კოლეგა კვანტალიანის 23 ივლისის განაჩენის ბედი ეწევა. საქმე ისაა, რომ ქალბატონი კვანტალიანის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი განაჩენი ახლაც აღუსრულებელია და ვერც იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღმსრულებლო ბიუროში მოუფიქრებიათ სასამართლოს ნების შესრულების მექანიზმი.

გუშინ კი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ამჟამინდელი პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას წინასაარჩევნო, ფეხბურთის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა გააცნო მასმედიას, კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სამოქალაქო სასამართლოსადმი მისი და ჟორდანიას პატივისცემა, მაგრამ ჩვენი უზენაესი მბრძანებელი ფიფაა, მხოლოდ მის რჩევა-მითითებებს დავემორჩილებითო, დაამატა.

ვიდრე ჩვენში საარჩევნო ციებ-ცხელებაა, ევრო 2004-ის შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუსთა გუნდის თავკაცებს შემოუთვლიათ. იქნებ, ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა ერთ დღეს, 12 ოქტომბერს ითამაშონო.

ეს ამბავი საქართველოს მთავარი გუნდის მთავარი მწვრთნელის, ალექსანდრე ჩივაძის გარეშე როგორ გადაწყდებოდა და ბატონ საშასაც უთქვამს, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ახალგაზრდული ნაკრების წევრებზე დაკვირვების საშუალება აღარ მექნებაო.

ერთი სიტყვით, უარი რუსებს.



დავით პეტრიაშვილმა და ვაჟა ჩხაიძემ ყრილობამდე თითო სასამართლო მოიგეს

## მოიფშვნიტეთ ხელები, ლიგა დაიწყო!



REUTERS

როი კინისა ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერი“ უნგრელებს კვალიფიკაციის აუმაღლებს




REUTERS

გენკი — სპარტა 2:0. ბელგიელმა უესლი სონკმა და ჩეხმა იან ფლახბარტმა საერთო თავური დაჰკრეს

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:0 შტურმი (ავსტრია)
1:0, 2:0 აიეგბენი (17, 90)
შტურმი: ფებერი, ნოიკირხნერი, როხასი, პეტროვიჩი, შტრაფნერი, ჰაასი, ბრეჟნიკი, ფეტლი (მეილიხი 66), მახუდი, დოგი, ამოა (საბიჩი 73)
დავით მუჟირი სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
600 მაყურებელი

აპოელი (კვიპროსი) 2:3 აეკ (საბერძნეთი)
1:0 უზუნიდისი (23), 1:1, 1:2 ბორბოკისი (45, 47), 2:2 მალეკოსი (89პ), 2:3 ნიკოლაიდისი (90)

გენკი (ბელგია) 2:0 სპარტა (ჩეხეთი)
1:0 ტიისი (33), 2:0 ბესლიჯა (40)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:0 ფენერბაჰჩე (თურქეთი)
1:0 ონო (65)

ბოავიშტა (პორტუგალია) 0:1 ოსერი (საფრანგეთი)
0:1 ჟ. ხისე (70)

# უეფას თასი

## საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ვადუცი (ლიხტენშტაინი) 1:1 ლივინგსტონი (შოტლანდია)

# ინტერტოტოს თასი

## ფინალი. პირველი მატჩები

ლილი (საფრანგეთი) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)
1:0 ბონალი (20)

ბოლონია (იტალია) 2:2 ფულემი (ინგლისი)
1:0 სინიორი (56პ), 1:1 ინამოტო (62), 2:1 სინიორი (75პ), 2:2 ლეგვინსკი (85)

ვილიარეალი (ესპანეთი) 0:1 მალაგა (ესპანეთი)
1:0 ხერარდო (9)



მაკაბი — შტურმი. ირჟი ბრეჟნეკი (მარცხნივ) ებრაელ ადორამ კეისის გადაახტა

# გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა V ტური

ზაარბრიუკენი 1:3 ერფურტი

# ინგლისი

### I დივიზიონი. II ტური

ბრაიტონი 0:0 ქოვენთრი
ჯილინგემი 1:0 დერბი ქაუნთი
გრიმსბი 0:0 უიმბლდონი
რედინგი 2:1 შეფილდ უენსდი
როთერჰემი 1:1 ნორვიჩი
შეფილდ იუნ. 1:1 პორტსმუთი
უოტფორდი 0:0 მილუოლი
კრისტალ პალასი 1:1 ბრედფორდი

### II დივიზიონი. II ტური

ბარნსლი 1:1 ჩელტენჰემი
ბლეკპული 5:2 ლუტონი
ბრენტფორდი 1:0 ბრისტოლი
კარდიფი 3:1 პორტ ვეილი
ჩესტერფილდი 2:4 სუინდონი
ქრიუ 0:3 ნოტსი
პიტერბორო 0:1 ოლდემი
პლიმუთი 2:1 ჰადერსფილდი
სტოკპორტი 1:1 ქუინზ პარკი
ტრანმერი 1:1 კოლჩესტერი
უიგანი 3:2 მენსფილდი
უიკომბი 1:1 ნორთჰემპტონი

### III დივიზიონი. II ტური

დარლინგტონი 2:2 სუონსი
ბორნმუთი 0:0 კიდერმინსტერი
როვერსი 1:1 ჰალი
ბერი 0:1 კემბრიჯი
ექსეტერი 1:1 სკანთორპი
ჰარტლპული 2:0 ბოსტონი
ლეიტონი 3:2 მაკლსფილდი
ლინკოლნი 2:0 როჩდეილი
რაშდენი 3:0 ტორკი
საუთენდი 0:1 კარლაილი
რექსემი 1:0 ოქსფორდი
იორკი 2:1 შრიუსბერი

# შოტლანდია

### ლიგის თასი. II წრე

ალოა 0:1 როსი
ბერვიკი 2:0 ერდრი
კლაიდი 1:2 სენტ მირენი
დამბარტონი 3:0 ეარი
მონტროუზი 0:2 ფოლკირკი
ქუინი 1:0 მორტონი
ფორფარი 1:1 დამ. (პენ.3:4, 1:1) ქუინზ პარკი

# რუსეთი

### პრემიერლიგა გადადებული მატჩი

როსტსელმაში 3:2 ცსკა



გენკი — სპარტა. მუმუნი დაგანო ბელგიელთა მეკარე იან მონსს სიხარულისგან შეახტა



ფეიენოორდი — ფენერბაჰჩე. ბრეტ ემერტონს სტუმარი სამუელ ჯონსონი გადაელობა

# ყაველაშვილი და ლუცერნი კონტრაქტამდე სიტყვას იტყვიან



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის, მიხეილ ყაველაშვილის ახალი გუნდი, სავარაუდოდ, დღეს გაირკვევა.

ყაველაშვილი შვეიცარიული „ლუცერნის" ხელმძღვანელობას უნდა შეხვდეს და მისთვის მისაღებ პირობებზე მოელაპარაკოს.

„იყო სხვა ვარიანტებიც, თუმცა ყველაზე რეალური „ლუცერნია" -- გვითხრა წუხელ მიხეილ ყაველაშვილმა, როცა შვეიცარიაში დავუკავშირდით.

„ციურიხის" ყოფილ ფეხბურთელს არ დაუკონკრეტებია, რამდენწლიან კონტრაქტზე იქნება საუბარი.

„ციურიხთან" ხელშეკრულება დამიმთავრდა, ცხადია, ვერც პრობლემებს შემიქმნიან. ეგაა, ფორმის შესანარჩუნებლად სათადარიგო გუნდთან ვვარჯიშობდი" — დასძინა საუბრის ბოლოს მიხეილ ყაველაშვილმა.

**კობა ინასარიძე**

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 2002 წლის 24 აგვისტოს ყრილობის ჩატარება აეკრძალოს სფფ-ის აღმასკომის 2002 წლის 8 თებერვლის №37 დადგენილების მიხედვით, სფფ-ის წევრებისა და მათ მიმართ ხმათა განაწილების ნაწილში და იგი ჩატარდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მათსავე მეოთხე ყრილობაზე მიღებული წესდებით დადგენილი წესებით"

ასეთი განაჩენი გამოიტანა გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე კვარაცხელიამ და სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, ვაჟა ჩხაიძის სფფ-ს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა

# ვაჟა ჩხაიძემ ფედერაციას დიდუბე-ჩუღურეთიდან შეუტია

**ჩხაიძემ** საზრიანად იმოქმედა, რადგან პროცესი 24 აგვისტომდე ვერ დასრულდებოდა, „მრეტების" თავკაცმა საჩივარს სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაც დაურთო, სწორედ ამის საფუძველზე მიიღო მოსამართლე კვარაცხელიამ ზემოთ აღნიშნული დადგენილება. პროცესი კი გაგრძელდება და მის დასრულებამდე ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, სფფ-ს არა აქვს არჩევნების ჩატარების უფლება.

— ფედერაცია 2002 წლის 24 აგვისტოს დე იურე ყრილობას საარჩევნო ნაწილში ვერ ჩაატარებს. თუ ჩაატარა, არჩევნები დე ფაქტო იქნება, ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას ვაჟა ჩხაიძემ. პრეზიდენტობის კანდიდატს გუშინ 12 საათზე პრესკონფერენცია ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ სასამართლომ დადგენილება გვიან გამოიტანა და ჩხაიძემაც თავაზიანი ბოდიში შეუთვალა რესტორან „იმერეთში" მომლოდინე ჟურნალისტებს.


ვაჟა ჩხაიძე

ვაჟა ჩხაიძესთან გუშინდელი სატელეფონო საუბრისას ისიც გავარკვიეთ, რომ სფფ-ის მიერ პრესისთვის მიცემული ფიფას ეროვნულ ასოციაციათა კომიტეტის ხელმძღვანელ ვინსენ მონიეს წერილი არასრულია და მასში ისეთი პუნქტია ამოღებული, რომელიც ჩხაიძის აზრით, სფფ-ს საარჩევნო რეგლამენტის დარღვევაში ამხელს.

— ფედერაციის მიერ პრესისთვის მიწოდებულ ვინსენ მონიეს წერილში მთელი აბზაცია ამოღებული. სფფ-ში ეს წერილი ფაქსით 8 აგვისტოს მიიღეს, 9 აგვისტოს ფიფამ ჩემს ადვოკატს გამოუგზავნა ფაქსი, თან ეს წერილიც დაურთო. საკითხავია, სფფ-მ 12 აგვისტომდე რატომ დამალა წერილი და რატომ ამოიღო იქიდან ერთი აბზაცი. პასუხი ნათელია, ფედერაცია შეეცადა, დაემალა ის ფაქტი, რომ რეგლამენტი არ არის შესაბამისობაში წესდებასთან — გვითხრა ჩხაიძემ.

**ბაადა ძვანტალიანი**

# თქვენც არ იცით?

## აღსრულება არის ძნელი

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ 23 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ 24 აგვისტოს ყრილობისთვის საარჩევნო ხმების არასწორად განაწილების თაობაზე, 26 ივლისს დაუყოვნებლივ აღსრულებას დაუქვემდებარა. მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა ვეტერანთა კავშირს, ფედერაციის სარევიზიო კომისიის წარმომადგენელსა და ფედერაციის აღმასკომის უმრავლესობას ხმები ჩამოართვა, ბავშვთა ფეხბურთს კი სამი მანდატი აღუდგინა.

ფეხბურთის ფედერაციას დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე შესრულებული უნდა ჰქონდეს, ფედერაციას თბილისის სააღმსრულებლო ბიუროდან შესაბამისი გაფრთხილებაც მიღებული აქვს, მაგრამ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია პასუხად ამბობენ, ჩვენთვის არავის უთქვამს, არავის დაუკონკრეტებია, სასამართლოს გადაწყვეტილება როგორ უნდა შევასრულოთო. ფედერაციის სააპელაციო კომისიის თავმჯდომარემ, არჩევან ლომიძემ კი გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე აღნიშნა, მოსამართლეს სააღმსრულებლო მექანიზმი არ დაუკონკრეტებიაო. გუშინ თბილისის ბიუროს აღმასრულებელ ზურაბ დანელიას ვესტუმრეთ, ვისაც აქვს კიდეც წარმოებაში ეს საქმე.

— ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენგან გაფრთხილება უკვე მიიღო და სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იქნება გათვალისწინებული.

**— ის გვითხარით, გადაწყვეტილება ფედერაციამ როგორ უნდა აღასრულოს?**

— გაფრთხილება გაგზავნილი გვაქვს და ფედერაციამ ნებაყოფლობით თუ არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე სააღმსრულებლო პოლიციას გადაეცემა.

**— და რა ზომებს მიიღებს სააღმსრულებლო პოლიცია?**

— ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა.

**— გამორიცხულია, ყრილობისას სააღმსრულებლო პოლიცია ხელკეტებით დაერიოს სასამართლოს მიერ მანდატჩამორთმეულ დელეგატებს?**

— საქმე აქამდე არ მივა, გარანტიას ვიძლევი.

**— მოსამართლის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასა და აღსრულებას შორის რაიმე სხვაობა არის?**

— რა თქმა უნდა. გადაწყვეტილება ფედერაციას უკვე უნდა აღესრულებინა.

**— აღასრულა?**

— არ ვიცი, ჩვენ ფედერაციის პასუხი არ მიგვიღია.

**— როდის მიიღებთ?**

— როცა გამოგზავნიან.

**— რომ არ გამოგზავნონ?**

— დაველოდოთ 24 აგვისტოს.

**— 24 აგვისტოს რა ზომებს მიიღებთ?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. 24-ში ყველანი ფაქტის წინაშე დავდგებით.

**— თქვენ იცით ფედერაციაში ფიფასგან მისული წერილის შინაარსი?**

— ზუსტად არ ვიცი და ვერც კომპეტენტურ პასუხს გაგცემთ. ჩვენ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებლები ვართ.

**კობა ინასარიძე**

# ჟორდანიას პროგრამა ჩოლარიამ გაახმოვანა

## ერთ დღეს ორი რუსეთი? მეტისმეტია!

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე 11 დღით ადრე მერაბ ჟორდანიამ საარჩევნო პროგრამა გამოამზეურა, სფფ-ს პრეზიდენტმა ეს ყოველგვარი ხმაურის, ოფიციალობის გარეშე გააკეთა. მეტიც, ჟორდანიას სამოქმედო გეგმა ჟურნალისტებს სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ წარუდგინა საგანგებო პრესკონფერენციაზე. პრესკონფერენცია ჩოლარიამ ჟორდანიას საარჩევნო პროგრამის წარსადგენად კი მოიწვია, მაგრამ ყველანაირად შეეცადა, ამ თემაზე ცოტა ელაპარაკა*



— ეს პროგრამა ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით პრაქტიკული და კონკრეტულია. თუკი ჟორდანიას მისი განხორციელების შესაძლებლობა მიეცა, ქართული ფეხბურთი დიდ სიკეთეს ეზიარება. ყველა რეგიონალურ ფედერაციას ახალ ოფისებს წამოვუჭიმავთ, შევქმნით კლუბების დახმარების 100 ათას ლარიან ფონდს. სფფ-ის ბიუჯეტი 3 მილიონ 240 ათასი ლარი იქნება — ესღა გვითხრა შეხვედრის მთავარ თემაზე სფფ-ის გენერალურმა მდივანმა და სხვაზეც ისაუბრა.

— დღეს რუსებმა შემოგვთავაზეს, რომ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩები ერთსა და იმავე დღეს — 12 ოქტომბერს გაიმართოს. შევხვდი ალექსანდრე ჩივაძეს და რუსების წინადადება გავაცანი. ნაკრების თავკაცმა იუარა, ახალგაზრდული ნაკრების წევრებზე დაკვირვების საშუალება არ მექნებაო და რუსებსაც უარი შევუთვალეთ. ყველაფერი ძველებურად იქნება — ახალგაზრდები ერთი დღით ადრე ითამაშებენ...

— პრაქტიკულად დავამთავრეთ მოლაპარაკება გერმანულ ტელეკომპანია ISPR-თან, რომელიც შვეიცარიის ნაკრების საშინაო მატჩების ტელეჩვენების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. გადავწყვიტეთ, რომ ISPR-სგან შვეიცარია — საქართველოს ტელეტრანსლიაციის უფლება ვიყიდოთ და რომელიმე ქართულ ტელეარხს მივყიდოთ. ვნახოთ, ვინც უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებს, მასთან ვითანამშრომლებთ...

— ფიფაში ვიზიტისას ხუთი პიროვნება ისმენდა სფფ-ის წესდებასთან დაკავშირებით ამტყდარ სკანდალზე ჩვენს არგუმენტებს. ხუთიდან სამი საერთაშორისო დონის იურისტი გახლდათ. ძირითადად კითხვა-პასუხი იყო და ყველაფერი დეტალურად გავარჩიეთ. გვკითხეს, რომელიმე ყრილობა თუ ჩაატარეთ ამ დებულებითო, უარყოფითი პასუხი რომ მიიღეს, ეს გვითხრეს, დღეს თუ მუშაობს ეს დებულება თქვენთან, მაშინ ყრილობაზე ამით იხელმძღვანელეთ, მაგრამ ექვსი თვის განმავლობაში აუცილებელი კორექტივები შეიტანეთო. შვეიცარიიდან ფიფას სტანდარტ-სტატუსი გამოგვატანეს — მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს წესდება. ჩვენ ახალ დებულებას სწორედ ამ მოდელს შევუსაბამებთ და ექვსი თვე საკმარისი იქნება წესდებაში კორექტივების შესატანად. რაღა თქმა უნდა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მითითებებსაც გავითვალისწინებთ სამომავლოდ და საარჩევნო ხმებსაც შევამცირებთ. რაც შეეხება მოახლოებულ ყრილობას და სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს, იგი მოქმედი წესდებით ჩატარდება. დღეიდან ყრილობის დელეგატებს მერაბ ჟორდანიას საარჩევნო პროგრამა დაურიგდებათ და იმედი მაქვს, 24 აგვისტოს სწორ არჩევანს გააკეთებენ...

— ვაჟა ჩხაიძის სასამართლო პროცესზე ვერაფერს ვიტყვი, არც მსურს რაიმე კომენტარის გაკეთება. მას თავისი გზა აქვს, ჩვენ ჩვენი სამოქმედო პროგრამა...

— კლუბებთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემა მოგვარდა. „ტორპედოსთან" თამაშის დღეს „მერანს" 15 ათასი ლარი ჰქონდა სფფ-ის სალაროში შეტანილი. ავჭალელებმა ქუთაისში ერთ პიროვნებას დაურეკეს და დარჩენილი 7 ათასი ლარის სფფ-ში მიტანა სთხოვეს. ეს პიროვნება ფედერაციაში კი მივიდა, მაგრამ ჩვენ არ დავხვდით, რადგან ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს ვესწრებოდით. დაგვირეკა ამ კაცმა ტელეფონზე და თანხა ხელთ მაქვსო, გვითხრა. მე სასწრაფოდ ქუთაისში გადავრეკე, დავრწმუნდი, რომ მასპინძლებს არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ მატჩის ამგვარ საგანგებო ვითარებაში ჩატარებაზე და შეხვედრაც გაიმართა... ვერ გეტყვით, ვინ იყო ის პიროვნება, მთავარია, ფული ჩვენამდე მოიტანა. „გორდასთან" დაკავშირებით პრობლემა გადაჭრილია. საფეხბურთო კარების საკომპენსაციოდ დაპირებულ თანხას გამოუქვითავთ საწევრო შემონატანიდან...

— ეროვნული ნაკრების ახალი ბაზის გახსნა 28 მარტს გვქონდა დაგეგმილი. როგორც იცით, გახსნის საზეიმო ცერემონიალს ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი უნდა დაესწროს, მაგრამ 27 მარტს რომში ფიფას კონგრესი ჩატარდება და ბლატერი მეორე დღეს ვერ მოასწრებს თბილისში ჩამოსვლას, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბაზა 12 თებერვალს, ესტონეთთან ამხანაგური მატჩის წინ გავხსნათ.

ეს გვითხრა ჩოლარიამ და დამშვიდობებისას ედუარდ შევარდნაძის სახელზე გამზადებული უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის თბილისში ორდღიანი ვიზიტის პროგრამა გაგვაცნო.

იუჰანსონი 19 აგვისტოს 19 საათზე ჩამოფრინდება პარიზიდან და თანმხლებ პირებთან ერთად სასტუმრო „შერატონში" დაბინავდება. 20 აგვისტოს დილის 10 საათზე „ქართული ფეხბურთის სახლის" გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. მერე სტუმრები „ლოკომოტივის" სტადიონს და ნაკრების შშენებარე ბაზას დაათვალიერებენ. დღის მეორე ნახევარში კი იუჰანსონი საქართველოს მთავრობას შეხვდება. უეფას თავკაცი თბილისიდან 21 აგვისტოს გამთენიისას გაემგზავრება. თბილისში უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერიც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ იგი შვეიცარიაში დარჩება. იუჰანსონს თბილისში უეფას პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ფიფას აღმასკომის წევრი თურქი სენეშ ერზიკი დაუმშვენებს მხარს.

**ბაადა ძვანტალიანი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება 2002 წლის 24 აგვისტოს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზში. დასაწყისი 12 საათზე**

## დღის განრიგი

11.00-11.55 ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების რეგისტრაცია
11.55-12.00 ყრილობის გახსნა
12.00-16.00 ყრილობის მუშაობა
16.15-16.20 ყრილობის დახურვა. სფფ-ს ახლადარჩეული პრეზიდენტის გამოსვლა
16.30-17.00 სფფ-ს ახლადარჩეული აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა
18.30-23.00 ყრილობის დელეგატებისა და სტუმრებისათვის სფფ-ს სახელით ოფიციალური ვახშამი

## ყრილობის დღის წესრიგი

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო მოხსენება 1998-2002 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ
*მომხსენებელი:* **მ. ჟორდანია**
2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში
*მომხსენებელი:* **ვ. ასათიანი**
3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების დამტკიცება ახალი რედაქციით
*სარედაქციო კომისია*
4. არჩევნები
4.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის;
4.2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის;
4.3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარევიზიო კომისიის

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**



მასიმო ამბროზინი, სერჟინიო და კახა კალაძე სკუდეტოს მოგებას გეგმავენ

*დღეს იტალიური „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ჩეხურ „ლიბერეცს“ უმასპინძლებს, ორიოდ კვირაში*

*სერია A-ს 2002-03 წლების სეზონიც იწყება. ბრაზილიელი რივალდოთი გაძლიერებული „მილანი“ სკუდეტოსაც უმიზნებს და ჩემპიონთა ლიგაშიც თავისი სიტყვის თქმა სწადია. კლუბის საინტერნეტო ვებ-გვერდის ჟურნალისტმა, კარსმომდგარი სეზონის წინ სასაუბროდ ქართველი კახა კალაძე ირჩია.*

# რივალდო მილანში კალაძემ გამოსცადა

კახა კალაძე ორ რამეშია დარწმუნებული: „მილანს“ დაცვაში პრობლემა არ აქვს და „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება.

სკუდეტო?

სკუდეტოს მოპოვება კალაძის აზრით, მის გუნდს შეუძლია, თუმცა ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი, დაბეჯითებით ვერ ამბობს.

„დაცვასთან დაკავშირებით სანერვიულო არაფერი გვაქვს. მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ და უკანა ხაზს ერთი შეცდომაც არ დაუშვია. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპისთვის მზად ვართ“.

ალესანდრო ნესტაზე საუბრისას კი დიდი აღფრთოვანებას არ ამჟღავნებს. უფრო სწორად, „მილანში“ მის თეორიულ გადასვლაზე არ არის განსაკუთრებული აზრის:

„ყველა ამბობს, რომ ამ დიდი ფეხბურთელის დამატებით „მილანის“ დაცვა შეუვალი გახდება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთან მალდინი, შამოტი, ლაურსენი და მსოფლიოს ჩემპიონი როკე ჟუნიორი არიან“.

ხოლო, როდესაც ჟურნალისტები ფაბიო კანავაროს „ინტერში“ გადასვლაზე იწყებენ ლაპარაკს, კალაძე მხრებს იჩეჩავს აბა, რა მოგახსენოთო, სამაგიეროდ, „მილანზე“ ყველა კითხვას ენთუზიაზმით პასუხობს.

„კანავაროს ყიდვის შემდეგ „ინტერი“ სკუდეტოს ფავორიტად იქცა? არ მგონია. ფავორიტები ჩვენ ვართ. „მილანში“ უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ. ისინი როგორც ტექნიკის, ასევე ტაქტიკის თვალსაზრისით, არავის ჩამოუვარდებიან.“

კალაძეს ახალი ამპლუაც არ აშინებს, რადგან ის უნივერსალური ფეხბურთელია და სხვადასხვა პოზიციებს ეგუება.

„მილანში“ თავდაპირველად დაცვის ცენტრში მათამაშებდნენ, შემდეგ ნახევარდაცვაში გამწიეს. ახლა კი უკანა მცველი ვარ. მართალი გითხრათ, პოზიცია არ მაინტერესებს, მთავარია, შემადგენლობაში ვიყო. ღლევანდელ ამპლუასაც იოლად გავართმევ თავს.“

და როგორც მცველმა, ამ რამდენიმე დღის წინ, ვარჯიშზე, რივალდოს გაუწია მეურვეობა.

„იცით, როდესაც ბრაზილიელი ბურთს ფლობს, ყველაფრის გაკეთება შეუძლია. რივალდო საგანგებოდ ნიჭიერია და მგონი ძალიან კარგი ბიჭიც არის. მას გუნდისთვის უთუოდ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.“

# ორიდან ორი, მაგრამ შკმაყოფილო შოთამ ზასკი გვარდიოლას ამჯობინა

**შოტლანდიურ** პრემიერლიგაში ორი ტური მიილია და შოთა არველაძის „რეინჯერსი“ წინა სეზონის დარად კვლავაც კუდში მისდევს „სელტიკს“.

ჩვენებურმა კი ორივე ტურში თითოჯერ შეაგდო გოლი, ხოლო ინგლისურ „ლიდსს“ ამხანაგურში გაუტანა 11-მეტრიანით...

მეორე ტურში „დანდისთან“ გატანილი გოლი კი მართლაც ლამაზი გამოვიდა — ტორე ანდრე ფლომ და არველაძემ ერთობ მახვილგონივრულად, მოხდენილად გაითამაშეს კომბინაცია, შოთამ ერთი მცველი ჩამოიცილა და ახლო კუთხეში გაუტანა დანდელთა მეკარე სპერონის.

**— „რეინჯერსის“ სტარტით კმაყოფილი ხარ?**

— უკვე ერთი ფრე ვითამაშეთ და კმაყოფილი როგორ ვიქნები. რა თქმა უნდა, ეს ჯერ დასაწყისია, მაგრამ კარგი იქნებოდა ორი ტურის მერე ექვსი ქულა გვქონოდა. პირველ მატჩში „კილმარნოკთან“ ბევრი საგოლე მომენტი გაგვიცუდდა, მეტოქე კი, ფაქტობრივად, მოედნის ნახევარს ვერ გადმოდიოდა, მაგრამ კუთხური ჩაგვიწოდეს და გაგვიტანეს.

**— როგორ ფიქრობ, „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის ამ სეზონში ძალათა რა თანაფარდობაა?**

— ჩემპიონატის დასაწყისიდან თუ ასე დავკარგეთ ქულები, უპირატესობა „სელტიკს“ დარჩება. თუმც ზუსტად ვერ გეტყვით, რა სიძლიერისაა, ახლა „სელტიკი“, ამ სეზონში ხომ მას ჯერ არ შევხვედრივართ.

**— შენი ჯანმრთელობა როგორაა, კოჭი ბოლომდე მოიშუშე?**

— ვერა, მაგრამ უკეთესად მაქვს.

**— „დანდისთან“ გატანილ გოლზე რას იტყოდი. შენს შოტლანდიურ კარიერაში ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო?**

— არა, რატომ? ამ გოლზე უკეთესებიც გამიტანია, თუმც „დანდისთან“ შეგდებული არ იყო ადვილი შესასრულებელი, ცოტა მახვილი კუთხიდან მომიწია გატანა.

**— „რეინჯერსის“ ბასკ ახალწვეულ მიკელ არტეტაზე რას იტყვი?**

— ალბათ იცით, რომ ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი წინა სეზონში პსჟ-ში ჰყავდა განათხოვრებული „ბარსელონას“. არტეტა გვარდიოლას ტიპის ფეხბურთელია, თუმც უფრო მეტად ინდივიდუალისტია.

**დავით თაგართქილაძე**

# არაყულაპია, ქარიყულაპია, ჩაფარი და თხა

**შოტლანდიურმა** პრემიერლიგამ უკვე მეორე ტური ჩაყლაპა და სასიხარულოა, რომ „რეინჯერსის“ ქართველ ფორვარდ შოთა არველაძეს ამჯერადაც არ დაუტოვებია მოედანი უგოლოდ. არველაძის გუნდს ქართველთა დაბეჩავებული „დანდი“ საკუთარ „აიბროქსზე“ შემოელახა. მასპინძლებმა თავიდანვე მოჰკიდეს საქმეს ხელი და მალე ყველა დარწმუნდა იმაში, რომ „ჩაფრები“ ზედიზედ მეორე მატჩს არ ჩააგდებდნენ. ანგარიში ჰოლანდიელმა რონალდ დე ბურმა გახსნა, რომელსაც შოთამ მეორე ტაიმში ლამაზი გოლი დაუმატა — ტორე ანდრე ფლოსთან გათამაშებულმა გონივრულმა კომბინაციამ ჩვენებური მეკარეს შეატოვა. ერთადერთი, რაც გიორგი ნემსაძის თანაგუნდელებმა შეძლეს, ტაიმის მიწურულს შექმნილი სახიფათო მომენტი იყო. თუმც შტეფან კლოსთან პირისპირ დარჩენილმა ნაჩო ნოვომ მეტად არაზუსტად მოიქნია. მატჩის ბოლოს კი შოთა არველაძემ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და პიტერ ლოვენკრანდსს საგოლე პასი მიართვა.

გამარჯვებებით დაიწყეს მეორებუნდესლიგური სეზონი დაქვეითებულმა ქართველმა „გერმანელებმა“. „ფრაიბურგმა“ და „კიოლნმა“ სტუმრად, შესაბამისად, „ალემანიას“ და „კარლსრუეს“ 1:0 სძლიეს. ლევან კობიაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა სრულად ითამაშეს და მოედანზე საუკეთესონიც იყვნენ. ახლახან ტრავმამოშუშებული ალექსანდრე იაშვილი ფოლკერ ფინკემ მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე. მძიმე ტრავმისგან განკურნებული გიორგი კოკნაძე მატჩის განაცხადში კი იყო, თუმც „ფრაიბურგის“ თავკაცმა მისი თამაშისგან თავი შეიკავა.

უტყუპისცალოდ იმარჯვა „კიოლნმა“. არჩილ არველაძე ჯერაც სარეაბილიტაციო კურსს გადის და „თხებს“ ქართველის გარეშე უწევთ საბუნდესლიგო საგზურისთვის საჭირო ქულების დაგროვება.

„გერმანელთა“ დარად, წარმატებული სტარტი ჰქონდა გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთისაც“. თუმც საკუთარ მომავალში ჯერაც ვერგარკვეული ჩვენებური ნახევარმცველის წილი ამ გამარჯვებაში ნულის ტოლია. ქინქლაძე მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა.

რუსული პრემიერლიგის მეცხრამეტე ტურში ორი სენსაცია მოხდა და ორივეში ქართველთა გუნდები გაეხვნენ. უკვე მერამდენე ტურია, ვლადიკავკაზის „ალანია“ დაუმარცხებლად მიიწევს წინ და ამაში რომ აშვეთია-დემეტრაძეს წონიანი სიტყვა ეთქმით, სადავო არ უნდა იყოს. მართალია, მოსკოვში ევროსაგზურისთვის მებრძოლ „დინამოსთან“ მატჩში ქართველებს გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ერთობ სასარგებლოდ გაისარჯნენ და იქაური მასმედიისგან მაღალი შეფასებებიც მიიღეს. მასპინძელთა კარში გატანილი ერთადერთი გოლიც გიორგი დემეტრაძის აქტიურობას მოჰყვა. სწორედ მის ჩაწოდებულს დაჰკრა იგორ ტარლოვსკიმ სამქულიანი თავური. ეს ვლადიკავკაზელთა პირველი საგარეო გამარჯვება იყო ამ სეზონში.

ვალერი აბრამიძის „სპარტაკმა“ კი კოშმარული 45 წუთი ჩაატარა სარატოვში. „სოკოლმა“ პირველ ტაიმში „ბელაზივით“ გადაუარა რუსთა საამაყო გუნდს. ვერ გეტყვით, მასპინძლები სარატოვში რუსეთის პირველ პრეზიდენტ ბორის ელცინის ჩასვლამ უფრო გაახარა თუ მატჩის წინ ხელფასპრემიების დარიგებამ, მაგრამ ფაქტია, „სპარტაკს“ გვარიანად საჩოთიროდ გაუხდა საქმე. სარატოვში ქარიყლაპიას დასაჭერად ჩასულმა არაყლაპია ელცინმა კი სტადიონზე შევლაც გადაწყვიტა და „სახალხო გუნდს“ ვინ იცის, იქნებ საჩემპიონო ოქროს ქულები დააკარგვინა. რუს ჟურნალისტთა თქმით, ელცინი სწორედ „სოკოლს“ ქომაგობდა ამ მატჩში. საბოლოოდ „სპარტაკმა“ მაინც შეძლო წუმპედან ამოსვლა, თუმც მხოლოდ ფრეს გამორჩა და, ალბათ, ამითაც კმაყოფილი უნდა იყოს. შეცვლაზე შესულმა დანიშევსკიმ ხომ მხოლოდ 89-ე წუთზელა შეაგდო გამთანაბრებელი. ვალერი აბრამიძე კი მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გამოჩნდა მოედანზე მიტრესკის ნაცვლად და მისი თამაში 5,5 ქულით შეფასდა.

ვლადიკავკაზის „ალანია“ კი ამოვიდა სახიფათო ზონიდან, თუმც ამ ადგილს ქართველი მაინც ვერ შორდება. კახა მჟავანაძის „ანჟიმ“ ისევ უსუსურად ითამაშა და შინ 0:2 დამარცხდა „კრილია სოვეტოვთან“. ჩვენებურმა სრულად ითამაშა.

რუსულ პირველ ლიგაში კვლავ ვერ მოიგო ლიდერმა ყაზანის „რუბინმა“. ჩალაძე-სილაგაძე-ჯელაძის გუნდი ამჯერად ფრეს დასჯერდა. ქართველ მეგოლე დავით ჩალაძეს კი რატომღაც გოლის გემო გადაავიწყდა და ბომბარდირთა დავაში კონკურენტებიც მოუმრავლდა. ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველი ლევან სილაგაძე კი ტრავმის გამო ვერ ეხმარება გუნდს, რომლის პრემიერლიგაში ალზევებაშიც რამდენიმე ტურის წინ არავის ეპარებოდა ეჭვი.

**კახა ზალამბერიძე**



ლევან კობიაშვილმა და „ფრაიბურგმა“ მეორე ბუნდესლიგა გამარჯვებით დაიწყეს

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | კარლსრუე 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | დუისბურგი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ადმირა 3:0 | 0 | | 2 | 0 | 1 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | რედინგი 3:0 | 0 | | 0 | 0 | |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი 3:0 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 2 | 2 | 3 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | რეინჯერსი 0:3 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | რეინჯერსი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 11 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლომელი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | დინამო 1:0 | 90 | საგოლე პასი | 6 | 4 | 11 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | დინამო 1:0 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 11 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | დინამო 1:0 | 90 | | 7 | 5 | 11 |
| დავით ქოქაშვილი | სპარტაკი | ს | სოკოლი2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | სოკოლი 2:2 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ცსკა 1:5 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | კრილია 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 1 | 13 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | შინიკი 2:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 10 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | შინიკი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ამკარი 2:1 | 62 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 17 | 0 | 15 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ამკარი 2:1 | 90 | | 20 | 1 | 15 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ამკარი 2:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 15 | 0 | 15 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | ვოლგარი 1:1 | 90 | | 14 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ვოლგარი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ვოლგარი 1:1 | 71 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 18 | 11 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | ს | ლადა 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 2 | 14 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | შ | დინამო 0:3 | 0 | | 4 | 1 | 17 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკროსტოვი | შ | ხიმკი 2:1 | 90 | | 6 | 0 | 12 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ასკროსტოვი | შ | ხიმკი 2:1 | 0 | | 3 | 1 | 12 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ასკროსტოვი | შ | ხიმკი 2:1 | 90 | | 4 | 0 | 12 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

# ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს

## რუსეთი



ვალერი გაზაევი

**რუსეთის** ნაკრების მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა იმ 29 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, 21 აგვისტოს, მოსკოვში შვედებთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის რომ მოემზადებიან. ამათგან ორიოდ დღეში 22 კანდიდატი დარჩება და სკანდინაველებთან თამაშის საშუალება ყველას მიეცემა. გაზაევის თქმით, შეცვლების განუსაზღვრელობაზე შვედებთან უკვე შეთანხმდნენ.

„ახლა ჩვენთვის მთავარია შევიკრიბოთ, ფეხბურთელებს ახალი იდეები და კონცეფცია გავაცნოთ, ასევე ნათლად ავუხსნათ ის მიზანიც, რომელსაც მომავალ შესარჩევ ციკლში უნდა შევეჭიდოთ, პირველ ოფიციალურ მატჩამდე ხომ თითქმის აღარაფერი დარჩა, 7 სექტემბერს მოსკოვში ირლანდიელებს ვმასპინძლობთ" — უთხრა გაზაევმა რია-ნოვოსტის კორესპონდენტს.

შეიქმნა მწვრთნელთა ახალი შტაბიც. გაზაევს ალექსანდრ ბოროდიუკი, ანდრეი ჩერნიშოვი, „სატურნის" თავკაცი ვლადიმირ შევჩუკი, ცსკა-ს და „ლოკომოტივის" მწვრთნელები ნიკოლაი ლატიში და ნიკოლაი ხუდიევი დაეხმარებიან. გუნდის უფროსი ალექსანდრ სტელმახი იქნება, ხოლო მენეჯერები ვიქტორ ვოტოლოვსკი და ვიქტორ ზინჩენკო. დაგვეთანხმებით, ერთობ ხალხმრავალი შტაბია.

ახლა კანდიდატთა სიასაც გადავხედოთ. მასში ოთხი ისეთი ფეხბურთელია, რუსეთის ნაკრებში არასოდეს რომ უთამაშიათ. ცსკა-ს 19 წლის მცველი დენის ევსიკოვი, „ლოკომოტივის" 23 წლის შუახაზელი სერგეი იგნაშევიჩი და „როტორის" ორი ნახევარმცველი, ნიკოლაი ოლენიკოვი (27) და ევგენი ალდონინი (22). ეროვნულ გუნდში დაბრუნდნენ ოლეგ რომანცევისგან ათვალწუნებული რკინიგზელი მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი და არმიელი შუახაზელი როლან გუსევი. აი, იური ნიკიფოროვი, ვიქტორ ონოპკო, ვალერი კარპინი და ალექსანდრ მოსტოვოი კი არსად ჩანან.

მოკლედ, გაზაევი „თავის" გუნდს ქმნის და პირველ გამოცდას 21 აგვისტოს შვედებთან მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩააბარებს, შეკრებას კი 18-ში დაიწყებენ.

**სოლომონ ბულისაშვილი**

მეკარეები: რუსლან ნიგმატულინი (ცსკა), სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ანდრეი ჩიჩკინი (როტორი).

მცველები: ვიაჩესლავ დაევი, დენის ევსიკოვი, ანდრეი სოლომატინი (ყველა ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი, გენადი ნიჟეგოროდოვი, დმიტრი სენიკოვი (ყველა ლოკომოტივი), იური კოვტუნი (სპარტაკი), ნიკოლაი ოლენიკოვი (როტორი).

ნახევარმცველები: როლან გუსევი, სერგეი სემაკი, იგორ იანოვსკი (ყველა ცსკა), მარატ იზმაილოვი, დმიტრი ლოსკოვი (ორივე ლოკომოტივი), ევგენი ალდონინი (როტორი), ანდრეი არშავინი (ზენიტი), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი), იგორ სემშოვი (ტორპედო), ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), ეგორ ტიტოვი (სპარტაკი), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი)

თავდამსხმელები: ვლადიმირ ბესჩასტნიხი, დმიტრი სიჩევი (ორივე სპარტაკი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), დენის ლაკტიონოვი (სუვონი, კორეა), რუსლან პიმენოვი (ლოკომოტივი), დენის პოპოვი (ცსკა)

## ირლანდია

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩისთვის მზადებას შეუდგა მუნდიალმოვლილი ირლანდიის ნაკრებიც. სარუსეთო სამზადისში მიკ მაკარტი თავის შეგირდებს 21 აგვისტოს ფინელებს გააჯიბრებს. „სამყურათა" მწვრთნელი საამმატჩოდ დევიდ კონოლს მოისაკლისებს, სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ტოტენჰემელი სტივენ კარი, რომელმაც ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ ითამაშა. მაკარტიმ საფინეთოდ ამ ფეხბურთელებს უხმო.

მეკარეები: შეი გივენი („ნიუკასლი", ინგლისი), დინ კილი („ჩარლტონი", ინგლისი), ნიკ კოლგანი („ჰიბერნიანი", შოტლანდია);

მცველები: იან ჰარტი („ლიდსი", ინგლისი), რიჩარდ დანი („მანჩესტერ სიტი", ინგლისი), გარი ბრინი („ვესტ ჰემი", ინგლისი), ენდი ობრაიენი („ნიუკასლი" ინგლისი), გარი კელი („ლიდსი", ინგლისი), კენ კანინგემი („ბირმინგემი", ინგლისი), სტივ ფინანი („ფულემი", ინგლისი), სტივენ კარი („ტოტენჰემი", ინგლისი);

ნახევარმცველები: ჯეისონ მაკატირი („სანდერლენდი", ინგლისი), მეტ ჰოლანდი („იფსვიჩი", ინგლისი), კევინ კილბეინი („სანდერლენდი", ინგლისი), სტივენ რიდი („მილუოლი", ინგლისი), კოლინ ჰელი („სელტიკი", შოტლანდია), მარკ კინსელა („ჩარლტონი", ინგლისი), ლი კარსლი („ევერტონი", ინგლისი), რორი დელაპი („საუთჰემპტონი", ინგლისი;

თავდამსხმელები: რობი კინი („ლიდსი", ინგლისი), კლინტონ მორისონი („ბირმინგემი", ინგლისი), დემიენ დაფი („ბლექბერნი", ინგლისი), სტივენ მაკფელი („ლიდსი", ინგლისი), რიჩარდ სადლერი („მილუოლი", ინგლისი), გარი დოჰერტი („ტოტენჰემი", ინგლისი).

# მამალთ მამლის ყივილი



ჟაკ სანტინი

მთავარ ქანდარაზე შემომჯდარმა ჟაკ სანტინიმ მამლური შემოსძახა — პრესკონფერენცია გამართა და საფრანგეთის ნაკრების განახლებული შემადგენლობა დაასახელა.

აწ მხოლოდ ევროპის მოქმედი ჩემპიონები სხვებთან ერთად შემოდგომიდან შესარჩევში ჩაებმებიან. პირველი მატჩი კვიპროსთან ელით, მანამდე კი ტუნისს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

ახალმა მწვრთნელმა 22 მობურთალს უხმო. მათ შორის, ცხადია, ახალწვეულნიც არიან. სანტინიმ ნაკრების კარი გაუღო ოსერელ ფილიპ მექსეშს, ენტონი რეველიერს, „რენიდან" „ლივერპულში" ახლადგადაბარგებულ ბრუნო შეირუს და თავის ნამოწაფარს, ლიონელ მეგოლე სიდნეი გოვუს.

მე მწვრთნელი ვარ. ჩემი მოვალეობა ნაკრების ფინალურ ეტაპზე გაყვანაა. ჩვენ, ევროპის ჩემპიონებს, ტიტულის დაცვისთვის ბრძოლა მოგვიწევს. ტუნისთან მატჩი კვიპროსამდე სამეცადინოდ გვჭირდება. მართალია, გუნდში უდიდესი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ახალი სისხლის შეყვანა აუცილებელია. ფრანგულ ლიგას კარგად ვიცნობ და კლუბებში არაერთი ნიჭიერი მოთამაშეა. თავის გამოჩენის შანსი ასევე ექნებათ ერიკ კარიერს, სტივ მარლეს და ჟერემი ბრეშეს, რომლებსაც სანაკრებო (მართალია, მცირე) გამოცდილება აქვთ. ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ ისინი მოვიწვიე, მათ საქმეში ვნახავ — ბრძანა „სამფეროვანთა" თავკაცმა.

სანტინისავე თქმით, ნაკრებიდან წასვლას აპირებენ იური ჯორკაეფი, კრისტოფ დიუგარი და ფრანკ ლებევფი.

სამივეს გავესაუბრები, და გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ. რაც შეეხება ნიკოლა ანელკას, მან უნდა დამიმტკიცოს თავისი ამბიციები — დასძინა მწვრთნელმა.

მეკარეები: გრეგორი კუპე (ლიონი), ულრიხ რამე (ბორდო);

მცველები: ჟერემი ბრეშე (ლიონი), ვენსან კანდელა (რომა, იტალია), ფილიპ კრისტენვალი (ბარსელონა, ესპანეთი), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ მექსეში (ოსერი), ენტონი რეველიერი (რენი), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);

ნახევარმცველები: ერიკ კარიერი (ლიონი), ბრუნო შეირუ (ლივერპული, ინგლისი), კლოდ მაკელელე (რეალი, ესპანეთი), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ჯიბრილ სისე (ოსერი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი (ორივე არსენალი, ინგლისი), სტივ მარლე (ფულემი, ინგლისი).

# კორეელებს ჰიდინკი შეარიგებს



გუს ჰიდინკი კორეაში ახსოვთ და უყვართ

**ჰოლანდიელი** მწვრთნელი, 55 წლის გუს ჰიდინკი კორეელ ხალხში ისე პოპულარულია, რომ როდესაც ისინი ტურისტული საგზურით დასასვენებლად ან სამოგზაუროდ ჰოლანდიაში ჩადიან, ფოტოზე აღბეჭდავენ ყველაფერს, რაც მათი ნაკრების ყოფილ მწვრთნელთან არის დაკავშირებული. და იცით, რა უკვირთ ჰოლანდიაში მოსეირნე კორეელებს ყველაზე მეტად? ის, რომ ჰიდინკის გვარი ადგილობრივ გვართა შორის არაფრითაა გამორჩეული და არც თავად გუს ჰიდინკს უდგას რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში ძეგლი. მეტიც, რომელიღაც აზიელმა ტურისტმა აღმოაჩინა, რომ ტაქსისტი, რომელიც ჰიდინკის მშობლიურ რაიონში საკმაოდ მოძველებულ მანქანას დაატარებს, არც მეტი, არც ნაკლები, მწვრთნელის მოგვარეა.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, კორეელები ჯიუტად აგრძელებენ მოგზაურობას, ეძებენ და პოულობენ სახლს, რომელშიც ბავშვობისას გუს ჰიდინკი ცხოვრობდა და იქ სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. ამასთან, სოფლის ცენტრში მდებარე რესტორნის კედლებზე მრავლდება წარწერები: გმადლობთ გუს; გუს შენ ჩვენი გმირი ხარ; გუს გვიყვარხარ; დაგვიბრუნდი გუს და მრავალი მსგავსი.

მიზეზი ყველას კარგად მოეხსენება, სანამ ჰიდინკმა კორეის ნაკრები არ ჩაიბარა და მუნდიალზე, მეოთხე ადგილზე არ გაიყვანა, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთი შეხვედრაც არ ჰქონდა მოგებული. ამ საქმეს ჰოლანდიელმა სპეციალისტმა 18 თვე შეალია, თუმცა საქმიანობა გვარიანადაც დაუფასეს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჰიდინკი კორეის ნაკრებს დაემშვიდობა.

მაგრამ, აი, გავრცელდა ხმა, რომ ჰიდინკს კვლავ მოუწევს შორეულ აღმოსავლეთში ჩასვლა — 8 სექტემბერს უნიკალური შეხვედრაა დანიშნული, კორეის ეროვნული გუნდი ჩრდილო კორეის ეროვნულ გუნდს ხვდება, ამასთან, როგორც გაირკვა, ჰოლანდიელი კორეელთა ნაკრებს კონსულტანტის რანგში მომავალშიც გაუწევს დახმარებას.

რაც შეეხება კომუნისტ კორეელებს, მათი მოულოდნელი ამხანაგური შეხვედრა კაპიტალისტ თვისტომებთან იმითაა გამოწვეული, რომ კომუნისტებმა, სექტემბრის ბოლოს, პუსანში დანიშნულ აზიურ თამაშებში მოინდომეს მონაწილეობა და ამისთვის ემზადებიან. ბოლოს კორეელები ერთმანეთს 1993 წელს შეხვდნენ, მაშინ კაპიტალისტებმა 3:0 გაიმარჯვეს.

**ბაჩუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდოს რეალი გასართობად უნდა

## გამოდი და თქვი! ურჩია მას რობერტო კარლოსმა

**რონალდოს** და „ინტერის" ამბავი სერიალად იქცა. მოსახლეობა ყოველ დღე ელის გაგრძელებას და გაგრძელებაც არ იგვიანებს. ინებეთ: ორშაბათს, ფეხბურთელის გაქნილმა აგენტმა ალექსანდრ მარტინსმა კვლავ განაცხადა, რომ მისი კლიენტი „ინტერში" ვერ ითამაშებს. ეს სწორედ ის მარტინსია, ორი-სამი დღის წინ რონალდოს „ინტერისადმი" ერთგულებაზე რომ ლაპარაკობდა, ხოლო მანამდე აცხადებდა, ბრაზილიელი ვარსკვლავი „რეალში" გადამყავსო.

სატელეფონო ინტერვიუში მარტინსმა ასე ბრძანა: „რონალდოს წასვლა უნდა, მაგრამ პროფესიონალია და იძულებულია კონტრაქტს პატივი სცეს".

რას ნიშნავს ეს, თუ არა გაფრთხილებას, რომ თუ რონალდო „ინტერში" დარჩება, არც მეტი, არც ნაკლები, უგულოდ ითამაშებს?

იმავდროულად ხმა თავად მსოფლიოს ჩემპიონმაც ამოიღო. ორშაბათს გაზეთ „ილ გაძეტინოში" (სად პოულობენ სპორტის თვალსაზრისით ასეთ მეასეხარისხოვან გაზეთებს?) მან განაცხადა: „მე ფეხბურთი ბრაზილიურად მესმის, ანუ ჩემთვის მთავარი გართობა და ფანტაზიაა. მიყვარს უფრო შემტევი და ნაკლებად ტაქტიკური თამაში, ეს კი ესპანეთში უფრო ეხერხებათ, ვიდრე იტალიაში. ესპანეთი ადამიანური თვალსაზრისითაც იტალიაზე კრძოდ, მილანზე მაღლა დგას. იქ სხვა რიტმია, უფრო ლაღი და თავისუფალი. იქ ბევრი ისეთი ფეხბურთელია, მსოფლმხედველობით მე რომ მგავს, მაგალითად, რობერტო კარლოსი და ზინედინ ზიდანი".

ამასობაში, „ინტერის" საინტერნეტო გვერდზე საწვრთნელ ცენტრში მისული თუ მომლიმარი რონალდოს ახალ-ახალი ფოტოების გამოქვეყნება გრძელდება, ოღონდ კირკიტა ჟურნალისტები ამჩნევენ, რომ ყველა მათგანზე რონალდო ცალკე ვარჯიშობს, გუნდი — ცალკე. რას ნიშნავს ეს? ალბათ, ამის ასახსნელად „ინტერის" მწვრთნელის, არგენტინელი ჰექტორ რაულ კუპერის გუშინწინდელი ნათქვამი უნდა გავიხსენოთ: „მწამს, რომ ფეხბურთელი გუნდში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დარჩეს, თუ იქ თავს ბედნიერად გრძნობს".

ამას ისიც დავამატოთ, რომ კუპერმა რონალდო მილანში დატოვა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, ლისაბონის „სპორტინგის" წინააღმდეგ სათამაშოდ გუნდი მის გარეშე წაიყვანა.

ერთი სიტყვით, ისევ „რეალი"...

„განა მსოფლიოში არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც „რეალში" თამაში არ უნდა? „რეალი" ხომ დედამიწაზე უძლიერესი კლუბია" — ამბობს მარტინსი, მაგრამ, როდესაც ახსენებენ, რომ თავად მადრიდელებს რონალდოსადმი ინტერესი ერთხელაც არ გამოუხატავთ, პასუხს გაურბის.

ახლა დავუბრუნდეთ „ილ გაძეტინოს" და მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ რონალდოს სიტყვებს:

„რეალის" წინადადება ზედმიწევნით, დაკვირვებით უნდა შევისწავლო..."

ესე იგი, „რეალის" წინადადება არსებობს!

„რეალის" ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო კარლოსი კი გაკვირვებულია: „არ მესმის, რა ხდება. მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირი მილანში დაბრუნდა და უთხრეს, რომ იგი არ სჭირდებათ. აბა, სხვა როგორ ავხსნა. თუ რონალდოს „რეალში" გადმოსვლა სწადია, ეს იმას ნიშნავს, რომ „ინტერში" თავს კარგად ვერ გრძნობს. იმედი მაქვს, საჯაროდ გამოვა და ყველაფერს მოყვება, თორემ უკვე ბევრმა დაიწყო მისი სახელის ლაფში ამოთხვრა".

ამრიგად, რონალდოს სერიალში დიდი გაუგებრობაა, რომლის გამარტივება მხოლოდ ფეხბურთელისა და „ინტერის" პრეზიდენტის, მასიმო მორატის შეხვედრას შეუძლია. მაგრამ, როდის უნდა შეხვდნენ მეპატრონე და მოჯამაგირე ერთმანეთს? მორატი ტოსკანიაში, კურორტზეა და მიუხედავად იმისა, რომ ნებიერობაში ცუდი ამინდი დაყენებით უშლის ხელს, მილანში დაბრუნებას თითქოს არ ჩქარობს.

„ილ გაძეტინო" კი თავის სარედაქციო სტატიაში, პირველ გვერდზე დიდი სათაურის — „გაათავისუფლეთ რონალდო" — ქვეშ წერს: დღეს, რონალდოს გუნდიდან გათავისუფლება „ინტერის" ფეხბურთელების და მწვრთნელის პრობლემისგან გათავისუფლებასაც ნიშნავს. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული".

**ბაჩუნა ძიძია**

## გაგრძელება აუცილებლად იქნება



რონალდო ჯერ ისევ „ინტერში" ვარჯიშობს



ასე გადაუხადა სამაგიერო როი კინმა ალფ ინგე ჰაალანდს

# მანჩესტერული კურიერი

## კინმა ჰაალანდს შიგ დაუტოვა

**ბრიტანეთში**, ჩვენგან განსხვავებით, სახელმწიფოს მიკედლებული მწერალთა კავშირი არ არსებობს, თორემ მისი თავმჯდომარეობა ნაღდად სერ ალექს ფერგიუსონს დაამშვენებდა — აღარ დარჩა „მანჩესტერ იუნაიტედში" ფეხბურთელი, ვისაც წიგნი (ძირითადად, მემუარები) არ გამოეცეს. ზოგი მათგანის, მაგალითად, დევიდ ბექემისა და რაიან გიგზის შემოქმედება კი უკვე არაერთ ნაწარმოებს მოიცავს.

არადა, ამათ წერა მაინც ვერ ისწავლეს. ავტობიოგრაფია ხომ იმისაა, რაც იყო და არ იყო, ყველაფერი დაწერო და თავი ანგელოზად გამოიყვანო. „ემიუს" ფეხბურთელები კი ამ მარტივ ჭეშმარიტებას ივიწყებენ და მხოლოდ იმას წერენ, რაც იყო.

ჰოდა, პრობლემებიც აქედან იწყება — თუნდაც იაპ სტამის წიგნთან დაკავშირებული ვნებათაღელვა გავიხსენოთ.

ახლა გიქმაჟი როი კინის ჯერია. მართალია, მისი ახალი ნაწარმოები ჯერ მაღაზიებში არ შესულა, მაგრამ ერთ-ერთმა გაზეთმა რამდენიმე ამონარიდი დაბეჭდა და...

როი კინს ჯარიმა არ ასცდება — აცხადებენ საქმის მცოდნენი და სავარაუდო თანხად 100 ათას გირვანქას ასახელებენ.

წარმოგიდგენიათ, კაცს ფულის შოვნა უნდოდა და იქით ექნება გადასახდელი!

საქმე ირლანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტნისა და ნორვეგიელი ალფ ინგე ჰაალანდის ურთიერთობას ეხება: ერთხელ „ლიდსის" ნახევარმცველმა როი კინს ისეთი ტრავმა მიაყენა, ამან სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშა. ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, კორკელი ბიჭი შურისძიების გრძნობას შეუპყრია. „რევანში" ამ წლინახევრის წინ შედგა. იმ დროს ჰაალანდი უკვე „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა.

„დიდხანს ვიცდიდი — წერს თავის წიგნში კინი — დაბოღმილი ვიყავი და ერთი სული მქონდა სამაგიერო გადამეხადა. აი, მან ბურთი მიიღო და მეც გავექანე. თან ვღრიალებდი, ვეღარასდროს დამამტვრევ, შე ბოზომეთქი... მსაჯ ელერისთვის და მისი წითელი ბარათისთვის აღარც შემიხედავს — მოვტრიალდი და მოედნიდან გამოვედი".

შედეგად, კინს დისკვალიფიკაცია მისცეს, დააჯარიმეს კიდეც, ჰაალანდი კი ისე დაშავდა, მას მერე მხოლოდ ოთხჯერღა ითამაშა რამდენიმე წუთით და კარიერაც დაამთავრა. „მგონი, კინის ბუცების რაღაც ნაწილი ისევ შიგა მაქვსო" —იხუმრა ერთხელ ნორვეგიელმა.

ეს ყველაფერი კარგი (უკაცრავად, ძალიან ცუდი), მაგრამ ჩვენს მკითხველს ალბათ ერთი კითხვა გაუჩნდება — წლინახევრის წინ მომხდარი ამბის გამო ახლა რატომღა უნდა დაისაჯოს კინი, თანაც ხელმეორედ?

დიახ, მართლაც ძნელია გაუგო ევროპელებს. ჩვენ ხომ დიდი ხანია შეგვაგუეს, რომ პრესითა და ტელევიზიით ათასი ჯურის რასისტის, ფაშისტის, ფანატიკოსისა თუ უბრალოდ გიჟის გამოსვლა დემოკრატიის უმაღლესი მწვერვალია და არა ბინძური იდეოლოგიის პროპაგანდა...

როი კინი კი არც რასისტია და არც „ალ ქაიდას" წევრი. მაგრამ ის ბრიტანეთის მოქალაქეა, რომელსაც უხეშობის პროპაგანდა არ ეპატიება. სწორედ ამას წაუყენებენ ბრალად „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს.

ასეთი ამბავი ადრეც მოხდა, როცა მიხეილ ყაველაშვილის ჩამწიხლავმა უელსელმა ვინი ჯოუნსმა ვიდეოკასეტა გამოუშვა, სადაც ბავშვებს უხეში თამაშის გაკვეთილებს უტარებდა. მაშინ აწ უკვე კინომსახიობი ჯოუნსი 50 ათასი გირვანქით დააჯარიმეს.

**გიგა ძოწახიძე**

# რობსონმა წინ ბრიჯისი მოიფიქრა, უკან კრისტენვალი

**„ნიუკასლ იუნაიტედმა"** თხოვნით მიმართა კატალონიურ „ბარსელონას", სეზონის ბოლომდე ფრანგი მცველი ფილიპ კრისტანვალი იჯარით დაგვითმეთო. ეს სურვილი ოფიციალურად მას შემდეგ გაცხადდა, რაც ეს ორი გუნდი „სენტ ჯეიმზის პარკზე" ამხანაგურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

პრემიერლიგელთა თავკაცი ბობი რობსონი სეზონის დაწყების წინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდის ცენტრალური დაცვის გაძლიერებას, მაგრამ კლუბის მეპატრონეები ახალი ფეხბურთელის შესაძენად დიდძალი თანხის გადახდას ერიდებიან. ამიტომ რობსონი იძულებულია, სასურველი ფეხბურთელი იჯარის წესით ჩაიგდოს ხელში ან რომელიმე თავისუფალ აგენტთან წამოიწყოს მოლაპარაკება. ცნობისთვის, „ნიუკასლმა" მიმდინარე სატრანსფერო სეზონში უკვე შეიმატა ერთი მცველი, ტიტუს ბრამბლი, რომელიც შარშან „იფსვიჩში" თამაშობდა. თუმცა, როგორც ირკვევა, ბობი რობსონი არა მარტო დაცვის გაძლიერებაზე ზრუნავს. მას თავდამსხმელებისკენაც უჭირავს თვალი. „ნიუკასლმა" „ლიდს იუნაიტედის" ფორვარდის, მაიკლ ბრიჯისის ხელში ჩაგდება მოინდომა და ყაბულსაა, მის სანაცვლოდ იორკშირელებს მილიონი გირვანქა ჩაუთვალოს.

„ჩვენ ბრიჯისის გაყიდვას არ ვაპირებთ, თუმცა შევიტყვეთ, რომ „ნიუკასლმა" თავად ფეხბურთელსაც მიმართა წინადადებით" — განაცხადა ლიდსელთა თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა.

ბრიჯისი 25 წლისაა და ის „ლიდსამდე" „სანდერლენდის" ღირსებას იცავდა. ფეხბურთელი ბოლო ხანს გაწამებული იყო ტრავმებით, მაგრამ, როგორც ამბობენ, ახლა სრულად გამოჯანმრთელდა და შეუძლია სეზონის დაწყებისთანავე ითამაშოს „ლიდსის" ძირითად შემადგენლობაში.

**ნიკა ფუზლაძე**



ფილიპ კრისტენვალი

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „მონაკოს" არგენტინელმა ნახევარმცველმა მარსელო გალიარდომ ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ექიმების თქმით, გალიარდო რამდენიმე კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

**ჰოლანდიური „აიაქსის" თავკაცმა რონალდ კუმანმა დაადასტურა, რომ თანახმაა, ბერძენი ფორვარდი ნიკოს მახლასი გუნდიდან გაუშვას. 29 წლის მახლასი სამი სეზონი ემსახურებოდა ამსტერდამულ კლუბს, თუმც ახლა ტრანსფერზეა დაყენებული. ცეცხლზე ნავთი თავად ბერძენმა ფეხბურთელმა დაასხა, როცა მან სარეზერვო შემადგენლობასთან ვარჯიში იუარა. მახლასის გადაბირებას ადრე ინგლისური „ტოტენჰემი" ცდილობდა, თუმც მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ახლა „აიაქსმა" ფასი დაუკლო და თავდამსხმელში 5 მილიონ დოლარს ითხოვს.**

სალვატორე ფრეზი (ბოლონია)
ემილიანო მორეტი (ფიორენტინა)
მაურო კამორანეზი (ვერონა)
დარიო ბაჩინი (ნაპოლი)
დანიელე გასტალდელო (ანკონა)
მარკო ძანკი (ვერონა)
მასიმილიანო ვიერი (ანკონა)
გოდეასი (ვერონა)

#### რომა

წავიდნენ

მარკოს ასუნსაო (ბეტისი, ესპანეთი)
ანტონიო კარლოს ძაგო (ბეშიქთაში, თურქეთი)
სებასტიან სივილია (პარმა)
ანტონიო კიასი (ასკოლი)
სიმონე პეპე (ტერნანა)
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

დავიდე ბომბარდინი (პალერმო)
ხოსეპ გვარდიოლა (ბრეშა)
ლუიჯი სარტორი (პარმა)
ტრაიანოს დელასი (პერუჯა)
კრისტიან პანუჩი (მონაკო, საფრანგეთი)
კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია)

#### ინტერი

წავიდნენ

დარიო შიმიჩი (მილანი)
დავალა უმითი (გალათასარაი, თურქეთი)
კლარენს ზეედორფი (მილანი)
ადრიანო (პარმა)
ანტონიო პაჩეკო (ესპანიოლი, ესპანეთი)
ანსელმო რობიატი (ანკონა)
ვრატისლავ გრეშკო (პარმა)
სტეფანო ლომბარდი (ანკონა)
ალესიო სკარპი (ანკონა)
პასკუალე პადალინო (კომო)
დრაგენ ბრნჩიჩი (უცნობია)
გრიგორიოს გეორგატოსი (აეკ, საბერძნეთი)

მოვიდნენ

დავალა უმითი (მილანი)
ბერნარდო კორადი (კიევო)
დომენიკო მორფეო (ფიორენტინა)
ფრანჩესკო კოკო (მილანი)
პასკუალე პადალინო (ბოლონია)
დრაგენ ბრნჩიჩი (ანკონა)
მატიას ალმეიდა (პარმა)
კარლოს გამარა (ფლამენგო, ბრაზილია)
დანიელე ადანი (ფიორენტინა)
ფაბიო კანავარო (პარმა)

#### მილანი

წავიდნენ

დემეტრიო ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხავი მორენო (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
დავალა უმითი (ინტერი)
მარკო სიმონე (მონაკო, საფრანგეთი)
ფრანჩესკო კოკო (ინტერი)
დანიელე დაინო (ანკონა)
ადამა მოჰამედ სარი (გალათასარაი, თურქეთი)
ფაბრიციო კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ლუკა ანტონინი (ანკონა)
ნიკოლა კორენტი (კომო)
სებასტიანო როსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ალესანდრო კოსტაკურტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მარკო დონადელი (ლეჩე)
მოჰამედ ალიუ დატი (სიენა)
სამირ ბელუფა (ბასტია, საფრანგეთი)
გაბრიელე ალდეგანი (ლივორნო)
მასიმო დონატი (პარმა)
ვიტალი კუტუზოვი (სპორტინგი, პორტუგალია)
სირილ დომორო (ესპანიოლი, ესპანეთი)

მოვიდნენ

სემ დალა ბონა (ჩელსი, ინგლისი)
იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კლარენს ზეედორფი (ინტერი)
დარიო შიმიჩი (ინტერი)
მარკო ბორიელო (ტრევიზო)
მაჩადუ კლეიტონი (კრუზეირო, ბრაზილია)
სირილ დომორო (მონაკო, საფრანგეთი)
ნელსონ დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია)
გაბრიელე ალდეგანი (ალავესი, ესპანეთი)
ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი )
რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი)

#### კიევო

წავიდნენ

ჩირო დე ჩეზარე (კომო)
დიომანსი კამარა (მოდენა)
კრისტიან მანფრედინი (ლაციო)
ბერნარდო კორადი (ინტერი)
ანდრეა ძანკეტა (ვიჩენცა)
სიმონე ბარონე (პარმა)
ანტონიუ კლეიტონი (მანტოვა)
ალესანდრო რინალდი (ატალანტა)
ერიბერტო (ლაციო)

მოვიდნენ

ფაბიო ფირმანი (ბოლონია)
ივონე დე ფრანჩესკი (ვენეცია)
ჯონ მენსა (ჯენოა)
დანიელე მორანტე (ტრევიზო)
ლილიან ნალისი (ბასტია, საფრანგეთი)
სერჯო პელისიერი (სპალ)
მარკო ვერონეზე (მოდენა)
ფრანჩესკო ვინჩენტი (კარარეზე)
ბიორნ რუნსტრიომი (ბოლონია)

#### ლაციო

წავიდნენ

კარელ პობორსკი (სპარტა, ჩეხეთი)
ივან დე ლა პენია (პორტუ, პორტუგალია)
ანდრეა კომაცი (ვერონა)
ფაბიო მინიერი (მარტინა)
ფაბიო ოლა (აკილა)
ალესიო სესტუ (მოდენა)
გაისკა მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)

მოვიდნენ

კრისტიან მანფრედინი (კიევო)
მასიმო ოდო (ვერონა)
ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია)
რობერტო ბარონიო (ფიორენტინა)
ემანუელე პეზარეზი (ნაპოლი)
ენრიკო კიეზა (ფიორენტინა)
ერიბერტო (კიევო)

#### ბოლონია

წავიდნენ

ფაბიო ფირმანი (კიევო)
მატეო ბრიგი (იუვენტუსი)
სალვატორე ფრეზი (იუვენტუსი)
პასკუალე პადალინო (ინტერი)
ლამბერტო ძაული (ვიჩენცა)
მასიმო ტარანტინო (კომო)
ფაბიო პეკია (კომო)
ბიორნ რუნსტრიომი (კიევო)
პიერ ვომე (ფულემი, ინგლისი)

მოვიდნენ

ალესანდრო ფრარა (იუვენტუსი)
ანდრეა არტიდო (კომო)
ლეონარდო კოლუჩი (ვერონა)
ანდრეა პანზერა (ალბინოლეფე)
სმიტი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია)

#### პერუჯა

წავიდნენ

ტრაიანოს დელასი (რომა)
დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი)
ანდრეა ბაძანი (სამპდორია)
ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
რაჯა რეზაეი (ისფაჰანი, ირანი)
სალვატორე მონაკო (კატანია)
ლორენცო ბუკი (კატანია)
დონოვან მაური (როდა, ჰოლანდია)
იუნგ-ჰვან ანი (პუსანი, სკორეა)

მოვიდნენ

ნიკოლა ამორუზო (იუვენტუსი)
ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი)
ფაბიან ონილი (იუვენტუსი)
ჟელკო კალაჩი (როდა, ჰოლანდია)
მანუელე ბლაზი (იუვენტუსი)
ანტონიო კრინიტი (სამბენედეტესე)
მასიმო დე მარტიზი (კატანია)
ჯენარო დელვეკიო (სამბენედეტესე)
იბრაჰიმ კარგბო (მოლენბეკი, ბელგია)
ჯორჯო ლა ვიზტა (ფერმანა)
უილიამ ვიალი (ვენეცია)
იოვან ტანასიევიჩი (ვოივოდინა, იუგოსლავია)
იანუშ მატიუში (კოტბუსი, გერმანია)
ოსკარ პერესი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)

#### ატალანტა

წავიდნენ

კორადო კოლომბო (სამპდორია)
ჯანლუკა ფალზინი (პარმა)
სალვატორე ფემიანო (კომო)
მასიმო პაგანინი (სამპდორია)
ლუკა საუდატი (ემპოლი)
დავიდე პინატო (სამპდორია)

მოვიდნენ

აპოსტოლოს ლიოლიდისი (არისი, საბერძნეთი)
ალესანდრო რინალდი (კიევო)
კარმინე გაუტიერი (პიაჩენცა)
მაურო მინელი (ლუმეცანე)
დავორ იავორჩიჩი (ტრევიზო)
მიკელე პარამატი (იუვენტუსი)

#### პარმა

წავიდნენ

ლუიჯი სარტორი (რომა)
მატიას ალმეიდა (ინტერი)
გაეტანო გრიეკო (ემპოლი)
სერგეი გურენკო (პიაჩენცა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ხუნიორ მონტანო (პიაჩენცა)
ალენ ბოგოსიანი (ესპანიოლი, ესპანეთი)
სტეფან აპია (ბრეშა)
ანტონიო ბენარივო (ტრანსფერზეა)
ხორხე ბოლანო (სამპდორია)
ნესტორ სენსინი (უდინეზე)
მარტინ ჯეტუ (ფულემი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (ემპოლი)
სავო მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ჯამპიერო მაინი (ანკონა)
ფაბიო კანავარო (ინტერი)

მოვიდნენ

ვრატისლავ გრეშკო (ინტერი)
დანიელე ბონერა (ბრეშა)
ადრიანო (ინტერი)
სებასტიან სივილია (რომა)
სტეფანო ტორიზი (მარსელი, საფრანგეთი)
ალბერტო ჯილარდინო (ვერონა)
პაოლო პოჯი (პიაჩენცა)
ალექს დე სოუზა (პალმეირასი, ბრაზილია)
სიმონე ბარონე (კიევო)
მარკ ბრეშიანო (ემპოლი)
ჯანლუკა ფალზინი (ატალანტა)
პაოლო კანავარო  (ვერონა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პიაჩენცა)
სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი)
პატრიკ მბომა (სანდერლენდი, ინგლისი)
ფრანჩესკო გიბსი (მონცა)
დანიელე მაჯო (ვიჩენცა)
მასიმო დონატი (მილანი)

#### ტორინო

წავიდნენ

სიმონე ტირიბოკი (სიენა)
ანდრე და სილვა ლუჩანო პინგა (სიენა)
მასიმო ბრამბილა (სიენა)
ჯენარო სკარლატო (ტერნანა)
კლაუდიო ტურჩეტი (ვიტერბეზე)
ბენუა კოე (კომო)

მოვიდნენ

ფედერიკო ბალძარეტი (სიენა)
ჯიბრილ დიავარა (კოზენცა)
დავიდე მანდელი (სიენა)
იკსელ ოსმანოვსკი (ბორდო, საფრანგეთი)
ჯენარო სკარლატო (უდინეზე)
ფრანკო სემიოლი (ტერნანა)
ვინჩენცო სომეზე (პიაჩენცა)
სიმონე ტირიბოკი (ანკონა)

#### პიაჩენცა

წავიდნენ

გაბრიელე ამბროზეტი (ჩელსი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (ემპოლი)
სერჯო ვოლპი (სამპდორია)
პაოლო პოჯი (პარმა)
კარმინე გაუტიერი (ატალანტა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პარმა)
ვინჩენცო სომეზე (ტორინო)
ნიკოლა კაჩა (ტერნანა)
მარკო ლივერანი (პავია)
ნიკოლა მორა (ბარი)
სტეფანო საკეტი (სამპდორია)

მოვიდნენ

ენცო მარესკა (იუვენტუსი)
სერგეი გურენკო (პარმა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ვინჩენცო სომეზე (ვიჩენცა)
ხუნიორ მონტანო (პარმა)
სტეფანო დი ფიორდო (სორა)
დარიო მარკოლინი (სამპდორია)
ლუიჯი რიჩიო (ანკონა)
მარკო სტელა (პესკარა)
რიკო (ტერნანა)
მუნო ობოლო (ველეს სარსფილდი, არგენტინა)

#### ბრეშა

წავიდნენ

ხოსეპ გვარდიოლა (რომა)
ამადეო მანგონე (პიაჩენცა)
დანიელე ბონერა (პარმა)
სტეფანო ალიარდი (კოზენცა)
ჯონათან ბინოტო (კომო)
სალვატორე სუსი (ჯენოა)
ლუკა კასტელაცი (რეჯინა)
მარეკ კოზმინსკი (პაოკ, საბერძნეთი)

მოვიდნენ

ჟილბერტო მარტინესი (საპრისა, კოსტა რიკა)
ამადეო მანგონე (პარმა)
მატეო სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სტეფან აპია (პარმა)
დარიო დაინელი (ვერონა)
დავიდე მიჩილო (კოზენცა)

#### უდინეზე

წავიდნენ

ალან გაარდე (ოლბორგი, დანია)
ჯენარო სკარლატო (ტორინო)
ანდრეა დიმპორძანო (ანკონა)
მაურო ესპოზიტო (კალიარი)
ნიკოლა მოლინარი (ალტო ადიჯე)
უინსტონ პარკსი (ასკოლი)
ლუიჯი ტურჩი (სამპდორია)
მარკო ძამბონი (მოდენა)
ლუის ელგერა (ალავესი, ესპანეთი)

მოვიდნენ

პატრიკ ბენეფორი (ბასტია, საფრანგეთი)
ჯუზეპე ჯემიტი (აინტრახტი, გერმანია)
რეჟის ჟენო (სტანდარდი, ბელგია)
მარეკ იანკულოვსკი (ნაპოლი)
ხავიერ ლოპეს დასერო (ნაპოლი)
ფულიჩანო მაგრო (ციურიხი, შვეიცარია)
ნესტორ სენსინი (პარმა)
ოლივერ ბირჰოფი (მონაკო, საფრანგეთი)
კარსტენ იანკერი (ბაიერნი, გერმანია)

#### ემპოლი

წავიდნენ

მასიმო მაკარონე (მიდლსბრო, ინგლისი)
მარკ ბრეშიანო (პარმა)
რიკარდო ბონეტო (ასკოლი)
პიეტრო ფუსკო (კატანია)
ფაბრის რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

მოვიდნენ

კარვალიუ დე ამაური (პიაჩენცა)
ანტონიო ბუშე (ლუმეცანე)
გაეტანო გრიეკო (პარმა)
მარკო სტორარი (ანკონა)
სტეფანო ლუკინი (ტერნანა)

# ევროპული ტრანსფერები

## იტალია
### სერია A

იგლი ვანუკი (ვენეცია)
ლუკა საუდატი (ატალანტა)

### კომო
#### წავიდნენ

ანდრეა არტიდო (ბოლონია)
მასიმო ბეგა (ტრიესტინა)
დემეტრიო დელ კიარო (ლუკეზე)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ტრევიზო)
სალვატორე ფემიანო (ლუკეზე)
ფაბიო გალო (ტრევიზო)
პერსი ოლივარესი (ლუკეზე)
სტეფანო პავონე (მესინა)
კრისტიან პედონე (სამპდორია)
კარლო ტალდო (მოდენა)
კრისტიან ტერნი (ტერნანა)
კამორანეზი (მესინა)
კალაცი (როდა, ჰოლანდია)

#### მოვიდნენ

მირკო ბენინი (ფიორენტინა)
საშა ბიელანოვიჩი (ვარტექსი, ხორვატია)
ნიკოლა კორენტი (მილანი)
ჩირო დე ჩეზარე (კიევო)
ფაბრიციო ფერონი (ვერონა)
ფაბიო გალო (ტერნანა)
ჟუარესი (ლეჩე)
პასკუალე პადალინო (ინტერი)
მასიმო ტარანტინო (ბოლონია)
ფაბიო პეკია (ბოლონია)
ჯონათან ბინოტო (კომო)
ლუკა ბელინჯერი (ალძანო)
ბენიტო კარბონე (მიდლსბრო, ინგლისი)
ვინჩენცო კიანეზე (ვიჩენცა)
ფაბიო კრიბარი (ლუკეზე)
ნიკოლა ლაზეტიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
მაურისიო სერნა (ატლეტიკო, კოლუმბია)
ჟან-პოლ ვან გასტელი (ტერნანა)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ატალანტა)
ბენუა კოე (ტორინო)
მარკო როსი (ფიორენტინა)

### მოდენა
#### წავიდნენ

მარკო ვერონეზე (კიევო)
ანტონიო ფანტინი (ვენეცია)
ვიტორიო გრიეკო (კატანია)
ეუჯენიო ტარანა (ანკონა)
მაურიციო დომიცი (სამპდორია)
ანდრეა რაბიტო (სამპდორია)

#### მოვიდნენ

დიომანსი კამარა (კიევო)
ალესანდრო ძამპერინი (პორტსმუთი, ინგლისი)
მარკო ძამბონი (უდინეზე)
კარლო ტალდო (კომო)
ნიკოლა კამპედელი (სალერნიტანა)
ნელო რუსო (ვიტერბეზე)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ალესიო სესტუ (ლაციო)
მარსელო ალბინო (ანკონა)

### რეჯინა
#### წავიდნენ

ანტონიო ბალდინი (ნაპოლი)
სტეფანო კაზალე (კოზენცა)
ნიკოლა პაგანი (კოზენცა)
ბეტონი (ქსამაქსი, შვეიცარია)

#### მოვიდნენ

შუნსუკე ნაკამურა (იოკოჰამა მარინოსი, იაპონია)
ვიქტორ საპატა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კარლოს პარედესი (პორტუ, პორტუგალია)
ლუკა კასტელაცი (ბრეშა)
ბრუნო ჩირილო (ლეჩე)
სერაო (პადოვა)
ნასიმ მენდილი (კოზენცა)

## ესპანეთი
### პრიმერა დივიზიონი

### ვალენსია
#### წავიდნენ

დენის სერბანი (რაპიდი, რუმინეთი)
ლივერო პარი (ალბასეტე)
ადრიან ილიე (სპორტინგი, პორტუგალია)
ხისკო (უელვა)

ჟან-ფელიქს დოროთე (რენი, საფრანგეთი)

### დეპორტივო
#### წავიდნენ

ემერსონი (ატლეტიკო, ესპანეთი)
მარინო ელდერი (ბენფიკა, პორტუგალია)
ნუნო (ტრანსფერზეა)

რობერტო აკუნია (სარაგოსა)
ხესუსი (ატლეტიკო)
ჟორჟე ანდრადე (პორტუ, პორტუგალია)

### რეალი
#### წავიდნენ

ელვირ ბალიჩი (ტრანსფერზეა)
დავიდ აგანსო (ვალიადოლიდი)
აიტორ კარანკა (ბილბაო)
ხავიერ პორტილიო (რეალი B)
რაულ ბრავო (რეალი B)
ოსკარ მინამბრესი (რეალი B)
ესტებან კამბიასო (რეალი B)
ფერნანდო (რეალი B)
სავიო ბორტოლინი (ტრანსფერზეა)
ფლავიო კონსეისაო (ტრანსფერზეა)
ჯერემი ნჯიტაპი (მიდლსბრო, ინგლისი)
პედრო მუნიტისი (ტრანსფერზეა)
ალბერტ სელადესი (ტრანსფერზეა)
ედვინ კონგო (ტრანსფერზეა)
ივან კამპო (ტრანსფერზეა)
მანუელ არანდა (ვილიარეალი)
ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო)
კევინ ფრანკი (სელტიკი, შოტლანდია)

ელვირ ბალიჩი (რაიო ვალეკანო)
ალბერტო რივერა (მარსელი, საფრანგეთი)
ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ხულიო ალვარესი (რასინგი)

### ბარსელონა
#### წავიდნენ

ფრანჩესკო კოკო (მილანი, იტალია)
ალფონსო პერესი (ბეტისი)
სერხი ბარხუანი (ატლეტიკო)
ხოსე მანუელ რეინა (ვილიარეალი)
მიკელ არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)
აბელარდო ფერნანდესი (ალავესი)
ლუის გარსია (ატლეტიკო)
რიშარ დუტრუელი (ალავესი)
რივალდო (მილანი, იტალია)
ჰარუნა ბაბანგიდა (ტერასა)
სერხიო სანტამარია (ელჩე)

#### მოვიდნენ

ალფონსო პერესი (მარსელი, საფრანგეთი)
ლუის გარსია (ვალიადოლიდი)
რობერტ ენკე (ბენფიკა, პორტუგალია)
ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია)

### სელტა
#### წავიდნენ

პაბლო ანდრეს კონტრერასი (ოსასუნა)
ზვონიმირ ბობანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვალერი კარპინი (სოსიედადი)

#### მოვიდნენ

სებასტიან მენდესი (ველეს სარსფილდი, არგენტინა)
პეტერ ლუქსენი (პსჟ, საფრანგეთი)

### ბეტისი
#### წავიდნენ

ვისენტე ხავიერ პინო (ბადახოსი)
ალბერტო მერინო (უელვა)

#### მოვიდნენ

მარკოს ასუნსაო (რომა, იტალია)
ალფონსო პერესი (ბარსელონა)
ერნესტო ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)

### ალავესი
#### წავიდნენ

გაბრიელე ალდეგანი (მილანი, იტალია)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
მარტინ ერერა (ფულემი, ინგლისი)

#### მოვიდნენ

აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა)
გუსტავო ლომბარდი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კრისტოფერ კანუ (აიაქსი, ჰოლანდია)
რიშარ დუტრუელი (ბარსელონა)
ედუ ალონსო (ბილბაო)
ლუის ელგერა (უდინეზე, იტალია)

### სევილია
#### წავიდნენ

სერხიო გარსია (უელვა)
ფროდე ოლსენი (ვიკინგი, ნორვეგია)

#### მოვიდნენ

ვინი სემვისი (ლას პალმასი)
ხუან კარლოს კაბალიერო (ფიგერესი)
ხუან კარლოს მარინი (ფიგერესი)

### ბილბაო
#### წავიდნენ

ედუ ალონსო (ბეტისი)
დავიდ კარანკა (მურსია)

#### მოვიდნენ

აიტორ კარანკა (რეალი)
ედუ ალონსო (ლას პალმასი)

### რაიო ვალეკანო
#### წავიდნენ

ელვირ ბალიჩი (რეალი)
ანხელ ვივარ დორადო (რასინგი)
ხორდი ფერონი (სარაგოსა)
ურბანო სანტოსი (პოლი ეხიდო)
ივან იგლესიასი (ტრანსფერზეა)
ერიკ როი (ნიცა, საფრანგეთი)

#### მოვიდნენ

ხულიო ალვარესი (რეალი)

### ვალიადოლიდი
#### წავიდნენ

აროლდ ლოზანო (მალიორკა)
ლუის გარსია (ბარსელონა)

#### მოვიდნენ

ოსკარ ფუენტესი (ბადახოსი)
დავიდ აგანსო (რეალი)
ხავიერ დავიდ მუნისი (როსარიო, არგენტინა)
სანჩესი (ბადახოსი)

### სოსიედადი
#### წავიდნენ

გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი)
მატიას ასპერი (მალმიო, შვედეთი)
ედგარას იანკაუსკასი (პორტუ, პორტუგალია)
აზიერ რიესგო (ეიბარი)

#### მოვიდნენ

გიორგი დემეტრაძე (ლოკომოტივი, რუსეთი)
იგორ ხაურეგი (ოვიედო)
ნიჰათ ქანვეჩი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ხავი ბაკერო (ეიბარი)
აიზპურუა (სალამანკა)
გაბრიელ შურერი (ლას პალმასი)
სერხიო ბორისი (ოვიედო)
ვალერი კარპინი (სელტა)

### ესპანიოლი
#### წავიდნენ

ენრიკე დე ლუკასი (ჩელსი, ინგლისი)
პაულუ სოუზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ივან დიასი (ალბასეტე)
ოსკარ გარსია (ვესტ ჰემი, ინგლისი)
პაჩეკო (ინტერი, იტალია)
ხერარდ აუტეტი (ხერესი)

#### მოვიდნენ

ფრანსისკო პალენსია (კრუზ ასული, მექსიკა)
მაქსიმილიანო როდრიგესი (ოლდ ბოიზი, არგენტინა)
ხავი როჩა (ვილიარეალი)
ანტონიო პაჩეკო (ინტერი, იტალია)
ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი)
ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია)
ფრედსონ პერეირა კამარა (პარანა, ბრაზილია)
სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია)
სირილ დომორო (მილანი, იტალია)

### ვილიარეალი
#### წავიდნენ

ხავი როჩა (ესპანიოლი)
გეორგე კრაიოვეანუ (ხეტაფე)
გუსტავო ბაროს შელოტო (როსარიო, არგენ.)

#### მოვიდნენ

რუბენ რეიესი (ოვიედო)
ედუარდო ჟულიან ბელეტი (სან პაულუ, ბრაზილია)
ხოსე მანუელ რეინა (ბარსელონა)
რუბენ რეიესი (ოვიედო)
მანუელ არანდა (რეალი)
ოსკარ სანჩესი (ბადახოსი)

### მალიორკა
#### წავიდნენ

ლეო ბიაჯინი (პორტსმუთი, ინგლისი)
გუსტავო სივიერო (ალბასეტე)

#### მოვიდნენ

აროლდ ლოზანო (ვალიადოლიდი)
ფედერიკო ლუსენჰოფი (ტენერიფე)

### ოსასუნა
#### წავიდნენ

დანიელ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი)

#### მოვიდნენ

პაბლო ანდრეს კონტრერასი (სელტა)
ინიაკი მუნიოსი (ნუმანსია)
მანუელ ვიდრიო (პაჩუკა, მექსიკა)
კარლოს ოჩოა (მონტერეი ტაიგერსი, მექსიკა)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)

### ატლეტიკო
#### წავიდნენ

ტონი ხიმენესი (უცნობია)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
კატალინ მუნტიანუ (ალბასეტე)
ჟუნინიო პაულისტა (მიდლსბრო, ინგლისი)
ხესუსი (დეპორტივო)

#### მოვიდნენ

ემერსონი (დეპორტივო)
სერხი ბარხუანი (ბარსელონა)
ლუის გარსია (ბარსელონა)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
ხავი მორენო (მილანი, იტალია)
დემეტრიო ალბერტინი (მილანი, იტალია)
ხოსე მარი (მილანი, იტალია)

### რასინგი
#### წავიდნენ

სიგურდ რუშფელდტი (აუსტრია, ავსტრია)

#### მოვიდნენ

ანხელ ვივარ დორადო (რაიო ვალეკანო)
იოსი ბენაიუნი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი)
ილან ბაჩარი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი)

### უელვა
#### წავიდნენ

არავინ

#### მოვიდნენ

სერხიო გარსია (სევილია)
კრისტიან მარტინესი (ლევანტე)
ფრანსისკო გალიეგო (კორდობა)
ხავიერ მაირი (კორდობა)
ალბერტო მერინო (ბეტისი)



წავა-წამოვა, ამერიკა მაინც ჯორდანს მიადგება

# გვიხსენ, მაიკლ!

## ჯორდანთან როგორც ღმერთთან მიდიან: ბოლოს

„მილუოკი ბაქსისა" და ამერიკის ნაკრების მწვრთნელი ჯორჯ კარლი ამბობს, ნბა-ში ეგოიზმი აღმოიფხვრა და ვარსკვლავები ნაკრებს ცხვირს აღარ უბზუებენო. ნბა-ში, ცხადია, მოიძებნებიან ბიჭები, რომელთაც ანგოლასა და ახალი ზელანდიის უკბილო ნაკრებებთან ბურთაობა არ, ეზარებათ, მაგრამ მთლიანობაში, კარლის ნათქვამის საპირისპიროდ, ნბა-ელთა უმრავლესობა არცთუ მგზნებარე ენთუზიაზმით მიდის მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე, ბევრი მათგანი კი საერთოდ უარობს დასვენებისთვის გათვლილი ზაფხულის ვილაც გადამთიელებთან ბლარძუნში დახარჯვას.

აი, ის ხალხიც, ვინც ორ კვირაში ინდიანაპოლისში დასაწყებ მსოფლიოს პირველობაზე 50-ვარსკვლავიანი დროშის ღირსების დასაცავად თითსაც არ გაანძრევს: შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი, ტიმ დანკანი, კევინ გარნეტი, ვინს კარტერი, ტრეისი მაკრეიდი, ალენ აივერსონი, კრის ვებერი... შთამბეჭდავი, თან არასრული სიაა, რომელშიც ამ ათიოდე დღის წინ ერთი სუპერვარსკვლავიც ჩაეწერა. უკვე ნაკრების წევრმა ჯეისონ კიდმა რაღაცის ტრავმა მოიმიზეზა და ნაკრებიდან ამოეწერა.

საგონებელში ჩავარდნენ მსოფლიოს პირველობის ორგანიზატორები და ნბა-ს მამები. კალათბურთელს ნაკრებში თამაშს ვერ დააძალებ. თანაც ვარსკვლავებს ზურგს უმაგრებენ მათივე კლუბები, რომელთაც, ბუნებრივია, არ სურთ წამყვან მობურთალთა ჯანმრთელობის გარისკვა. არადა, ცხადლივ ჩანს, ნბა იმდენად აღარ უსწრებს პლანეტის სხვა წამყვან საკალათბურთო ქვეყნებს, რომ მეორე-მესამე შემადგენლობითაც ძალ-ღონის დაუხარჯავად მოუგოს. წაგების რისკი რისკად და უდიდვარსკვლავებო ამერიკის სანახავად აღარც ინდიანაპოლისელები დაიხარჯებიან. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ამერიკელებს დასაწყისისთვის არცთუ კარგად მისდით საქმე.

საყოველთაო განდგომის ჟამს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკული კალათბურთის მამებმა თითქმის არსაიდან გამოძებნეს კაცი და მას სთხოვენ შველას. ეს კაცი წლების განმავლობაში პირველი ვარსკვლავიც იყო და პირველი საცდურიც რეკლამის დამკვეთებისა და ხალხისთვის. ამერიკელებს იმედი აქვთ, იგი კვლავ გასწევს პირველი კაცის ჭაპანს.

მაიკლ ჯორდანი! აი, თურმე ვინაა ამერიკელთა ბოლო დასაყრდენი. გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის" ინფორმაციით, აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელობა ჯორდანს ქვეყნის ნაკრების მაისურის მორგებას სთხოვს. ჯერ არავინ იცის, რას ფიქრობს ამ საკითხზე მაიკლი, მაგრამ ცნობილია მისი დამოკიდებულება ნაკრებებთან და საერთაშორისო თამაშებთან. მან ხალისით მიიღო მონაწილეობა 1984 წლის ოლიმპიადაზე, რვა წლის შემდეგ, 1992 წელს მეჯიქ ჯონსონმა ძლივს დაიყოლია „დრიმ თიმში" და ბარსელონის ოლიმპიადაზე სათამაშოდ, ხოლო კიდევ ოთხი წლის შემდეგ, უკვე ატლანტის თამაშებისთვის ჯორდანმა თავიდანვე ამოარიცხინა თავი კანდიდატთა სიიდან, იმ მოტივით, დავბერდი და გზას ახალგაზრდებს ვუთმობო. ატლანტისთვის ის 33 წლისა იყო, ახლა კი 39-ისა მოყრილა და საფუძველი გვაქვს, ვთქვათ, რომ იგი უარს იტყვის. ორგანიზატორებს ერთი რამის იმედი აქვთ. ისინი, ალბათ, შეახსენებენ მაიკლს, რომ ის კალათბურთში კალათბურთის სიყვარულის და ერთი გემრიელად წათამაშების გამო დაბრუნდა და ინდიანაპოლისშიც წათამაშებას შესთხოვენ.

ჯორდანს მცირე დრო აქვს დაფიქრებისთვის. ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისწინა შეკრებას ამ პარასკევს იწყებს. ჩემპიონატი კი 29 აგვისტოს გაიხსნება.

ირაკლი ფირუზიშვილი

# მეჯიქ ჯონსონი ასტრონომი გახდა

## ის ახალ ვარსკვლავებზე ილაპარაკებს

*მეჯიქ ჯონსონი ბავშვობიდან კალათბურთშია. ის იყო დიადი მოთამაშე, რიგიანი მწვრთნელი, საქმიანი ბიზნესმენი („ლეიკერსის" აქციათა 5 პროცენტს ფლობს), საკალათბურთო მოღვაწე, ცოცხალი რეკლამა... მსაჯობის გარდა მეტ-ნაკლებად ყველა პროფესია გამოუცვლია, რომელიც რეზინის მძიმე ბურთის სამყაროში არსებობს და ახლა, 40 წლისა, ის ხდება სატელევიზიო წამყვანი*

გადაწყვეტილი ამბავია, მეჯიქი დაჯდება სტუდიაში მიკროფონთან და სამ სხვა კომენტატორთან ერთად ტელეარხ TNT-ს რეპორტირებულ ნბა-ს თამაშებს წაუძღვება. მეჯიქთან ერთად სტუდიაში იმუშავებენ პროფესიონალი წამყვანი ერნი ჯონსონი და ძველი კალათბურთელები — ჩარლზ ბარკლი და კენი სმიტი. წინა სეზონში მეჯიქი ერთი კვირით ეხმარებოდა TNT-ს და ისიც და ტელეარხის წამყვან-ხელმძღვანელობაც დღემდე დადებითი შთაბეჭდილებებით არიან სავსენი. „მეჯიქის დამატებით ჩვენ კიდევ უფრო სრულვყოფთ წამყვანთა ისედაც ძლიერ გუნდს და ხალხს ამ არხს მეტად შევაყვარებთ. ჯონსონი ნამდვილი ქარიზმაა. მისი უდიდესი ცოდნა და გამართული აზროვნება კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედებს კალათბურთში" — ამბობს TNT-ს მფლობელი გიგანტი ტელეკომპანიის „ტერნერ სპორტის" პრეზიდენტი მარკ ლაზარუსი.

„შარშან მე შესანიშნავი კვირა გავატარე ერნისთან, ჩარლზთან და კენისთან ერთად და შევიყვარე ეს ოჯახი, რომლის წევრიც ახლა მე ვხდები. — ამბობს მეჯიქ ჯონსონი. ეს ხალხი ნაღდი პროფესიონალია არიან და ყველამ შესანიშნავად იცის თავისი საქმე. ერნი შეუდარებელი კოორდინატორია, ყველას მიმართულებას გვაძლევს. ჩარლის მგზნებარება მოედანზეც და სტუდიაშიც ყველას წვავს, კენი კი ნამდვილი მწვრთნელია. გამიკვირდება, დიდხანს თუ დარჩა სტუდიაში, რადგან მისი შესაფერისი საქმე ნბა-ს გუნდის გაწვრთნაა. ვფიქრობ, ის ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა ამ საქმეში. ვიცი, ჩარლზი თავიდანვე შეეცდება, შემავიწროვოს და ლაპარაკი შემიკვეცოს, მაგრამ მაგრად დავუდგები. ვხუმრობ, მე ნაღდად მიხარია ამ ბიჭებთან ყოფნა. ვფიქრობ, მათ არ ჩამოვრჩები და შევეცდები, მაქსიმალურად ობიექტური ვიყო. მართალია, მე კვლავ ვფლობ „ლეიკერსის" აქციათა ნაწილს და საერთოდ, „ლეიკერსი" ჩემი გუნდია, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ იქაურებს ფრთებქვეშ დავმალავ. ადრეც გამიკრიტიკებია ისინი და კუთვნილს არც ახლა დავაკლებ. თუკი ვინმე არ აკეთებს თავის საქმეს, ამას პირველი მე ვიტყვი".

კოტე ყორშია



მეჯიქ ჯონსონი სიტყვის ვარსკვლავობასაც აპირებს



შაკილ ონილი თავისუფალ დროს იმრავალფეროვნებს

# შაკილს არასდროს ექნება შაკიკი, მის თავში მუდამ რეპია

შაკილ ონილს რომ შემოქმედებით არსენალში სუპერკალათბურთელობის გარდა სხვაც მრავლად მოეძევება, საქვეყნოდაა ცნობილი. აქ მთავარი ის კი არაა, კალათბურთელობა უფრო კარგად გამოსდის შაკს თუ, დავუშვათ, რეპერობა. საქმე მის ინტერეს-მისწრაფებათა მრავალფეროვნებაშია. არ გეგონოთ, რომ „ლეიკერსის" ცენტრს ახალი ახირება" გაუჩნდა — ახალი, ამას წინათ მისი გაპოლიციელება იყო — უბრალოდ, შაკმა მივიწყებული საქმე — მსახიობობა გაიხსენა და მალე ცნობილი ტელეკომპანია CBS-ის ტელესერიალში დაენახვება ტელემაყურებელს.

ფილმი პროფესიონალ კალათბურთზეა, რომელიც ავარიის გამო კარიერას ნაადრევად ასრულებს და მწვრთნელი ხდება. სცენარი ბოლომდე ჯერ არ დაწერილა, მისი ავტორის, CBS-ის სერიალებით სახელმოხვეჭილი იუდიტ მაკრირის თქმით, შაკილ ონილი მთავარი გმირის თანაგუნდელი იქნება, მაგრამ ჯერ არაა გადაწყვეტილი, ეს გუნდი „ლეიკერსი" იქნება თუ გამოგონილი სახელის მქონე. შაკილი თავიდან რამდენიმე ეპიზოდს ითამაშებს, თუმც სერიალში მისი გამოჩენა ნბა-ს გახურებული სეზონისასაც არაა გამორიცხული.

პროდიუსერის თქმით, ონილი ძალიან მონდომებულია. თურმე მთამაკი ყოველდღე მუშაობს და სპეციალურ სამსახიობო გაკვეთილებსაც ესწრება. თუ გადაწყდა, რომ ფილმში ლეიკერსელი იქნება, მაშინ შაკილ ონილს შაკილ ონილის როლის შესრულება მოუწევს და გაკვეთილები ეგებ არც დასჭირდეს — მას ხომ ამ შემთხვევაში თავის თავად დარჩენა მოუწევს. ასე იყო ორიოდ წლის წინ, როცა შაკმა ფილმში „HE GOT GAME" თავისი თავი ითამაშა. აი, თავის მეორე ფილმში „KAZAAM"-ში კი ის გამოგონილი კალათბურთელი გახლდათ და იმპროვიზირება მოუხდა.

ირაკლი ბერტაია

# მარტინას მარტოობა სრულდება
## მოვასწროთ ჩანგურ-ჩოგნური

**LEGG MASON TENNIS CLASSIC**
ვაშინგტონი. ჰარდი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**
**ჟან გოლმარი** (საფრანგეთი) — ჟან-მიშელ გემბილი (11, აშშ) 7:6, 1:6, 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (12, ესპანეთი) — ოლივიე როშუ (ბელგია) 6:2, 6:7, 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (13, სლოვაკეთი) — რაიმონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (14, ტაილანდი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:6, 6:2; **იან ვაჩეკი** (15, ჩეხეთი) — ვინს სპადია (აშშ) 5:7, 6:4, 6:2; **ფერნანდო მელიჯენი** (16, ბრაზილია) — ტაკეში სუძუკი (იაპონია) 6:4, 7:6; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:4, 4:6, 6:3

სანამ საქმეში ბომბი ხალხი ჩაერთვებოდა — და, სხვათა შორის, ჩოგნის გაქნევას ვაშინგტონურ ჰარდკორტზე გუშგვიან ანდრე აგასი და შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკიც აპირებდნენ — კორტზე ნაკლებ სახელოვანმა მეჩოგნეებმა გაიბურთავეს.

თუკი მეთერთმეტიდან მეთექვსმეტემდე განთესილთა შესახებ მხოლოდ ანგარიშების უწყებით მოვიფარგლებით, იმ დღეს თავისი მორიგი, გაიშვიათებული წარმატების მიმთვლელ განუთესავ მაიკლ ჩანგზე ორიოდ სიტყვის თქმა ჰალალად ხამს.

ამის აუცილებლობას განმარტება ვინძლო არც სჭირდებოდეს, რამეთუ — სხვა თუ არაფერი — 1989 წლის მეროლანგაროსე ჩანგს იმ 34 ტიტულიდან, კარიერის განმავლობაში რომ მოუნაგრავს, ერთი ვაშინგტონიდანაც წამოუღია.

30 წლის აზიოამერიკელმა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი, 2000 წლის ლოს ანჯელესის ტურნირი მოიგო. შარშან მან 37 შეხვედრა გამართა და აქედან საამოდ ოდენ 16 დაურჩა. წლევანდელი სეზონი კი სულ მთლად საშინელად აეწყო და ვინემ წინასაკვირაოდ ცინცინატიში მესამე წრეს მიაღწევდა, სასეზონო ბალანსად 13 მარცხის წილ 2 მოგებას თუ მოიძებდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მშობლიურ მაგარსაფრებზე გარონიებამ მიმჭკნარი ჩანგი თითქოს ბეჭებში გაშალა და ჩოგნაობის დასტურ ქომაგებსაც არ შეიძლება, ეს ამბავი არ გვედღეგრძელებოდეს. იგი ხომ იმ დიადამერიკული თაობის წევრია, რომელიც მთელი 90-იანების განმავლობაში კორტზე ცხრათავა გველეშაპივით დომინირებდა...

ძალიან ძნელი მატჩი იყო, ამბობდა ბრიტანელი ლის დამარცხების მერე ჩანგი. ვაშინგტონში თამაში ყოველთვის მსიამოვნებდა, რადგანაც აქ ბევრი კეთილი მოგონება მაქვსო, ბოლოს კი ასე ხვედიანად დასძინდა.



REUTERS ვაშინგტონიდან

მაიკლ ჩანგი



REUTERS მონრეალიდან

მარი პირსი

**RCA CHAMPIONSHIPS**
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**
**რაინერ შიუტლერი** (9, გერმანია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6, 7:6; **ანდრეი პავლე** (11, რუმინეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 4:6, 6:3, 6:2; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — ივან ლიუბიჩიჩი (12, ხორვატია) 6:4, 6:2; **მიხელ კრატოხვილი** (13, შვეიცარია) — ემინ აგაევი (აზერბაიჯანი) 6:0, 6:2; **გრეგ რუზედსკი** (14, ბრიტანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6, 6:4; **ფაბრის სანტორო** (16, საფრანგეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 6:2; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:7, 7:6, 6:3

იმდღევანდელი შეხვედრებიდან გამოსარჩევი შვედი მაგნუს ნორმანის, მსოფლიოს ოდინდელი მეორმეჩოგნის ამ სეზონში პირველი სამაგარსაფრო გამარჯვება იყო.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ნორმანმა შარშან აგვისტოში მარცხენა ბარძაყის ოპერაცია გადაიტანა და დიდ კორტს მხოლოდ თებერვალში მოუბრუნდა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 19 წლის ამერიკელი რობი ჯინეპრის ძლევა მასაც გამორჩეულ ამბად ეჩვენა და ჩოგბურთზე მწერალთა ამქარსაც.

სხვაფრივ — იმ დღეს მოთამაშე განთესილთაგან უბობოლესმა შიუტლერმა ორტაიბრეიკიან ფიცხელ განდაგანაში 7:6 (7:2), 7:6 (7:4) სძლია ავსტრალიელ ფილიპუსისს, რომელსაც უმძლავრესი მოწოდება კი აქვს, მაგრამ ამ სეზონში ნათამაშები 2? ტაიბრეიკიდან მხოლოდ 7-ის მოგება შეძლო და ამ მატჩში ძალთუმრავლესი შეცდომითაც ჩაიფლავა.

რაც შეეხება მთავარმეჩოგნეთ, ინდიანაპოლისელი ქომაგი გულს ლეიტონ ჰიუიტის (ზურგის ტკივილმა თუ გაუარა), მარატ საფინის, ტომი ჰაასის, ევგენი კაფელნიკოვისა და ტიმ ჰენმანის ჩოგნაობით მოიოხებს.

შარშანდელი ჩემპიონი პატრიკ რაფტერია, ვინაც გადამწყვეტ შეხლაში გუსტავო კუერტენს აჯობა.

**ROGER AT&A CUP**
მონრეალი. ჰარდი
საპრიზო 1,22 მილიონი $

**პირველი წრე**
**ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (10, იტალია) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:2, 7:5; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — ანასტასია მისკინა (11, რუსეთი) 6:3, 6:1; **დაია ბედანოვა** (12, ჩეხეთი) — ჟილ კრეიბასი (აშშ) 2:6, 6:1, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ანა სმაშნოვა (13, ისრაელი) 6:2, 7:6; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ანე კრემერი (14, ლუქსემბურგი) 6:1, 6:0; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) — მარი პირსი (საფრანგეთი) 7:6, 6:7, 7:6; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — საორი ობატა (იაპონია) 6:3, 6:1; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:1; **ამანდა კუცერი** (სამხრეთ აფრიკა) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:2

კაცთა ტურნირებისა არ იყოს, ნამატჩევ მიმოხილვებში უმთავრესი ყურადღება უწინარესად აქაც სახელიან განუთესავებს მიექცა.

სახელდობრ — ყველა მსოფლიოში მე-40 ჩოგნის მქნეველი 21 წლის სექსრუსის, ანა კურნიკოვას გამარჯვებაზე საუბრობდა. თუმცა სასაუბრო აქ ბევრი არც არაფერი იყო. მისი 24 წლის იაპონელი მეტოქე ხომ სულ რაღაც 45 წუთში დაიჩაგრა.

რეპორტაჟთა მეორე მთავარგმირი კი მსოფლიოს ოდინდელი მესამმეჩოგნე, ფრანგი მარი პირსი გახლდათ. ამ რამდენიმე წლის წინ საუცხოო ფორმაში მყოფი და 2000-ში როლან გაროსის მაოხარი ნიჭიერი ფრანგი ზეათეულიდან გაუთავებელმა ტრავმებმა იმგვარად ჩააქვეითა, რომ იგი ამჯერად 49-ე ჩოგანსლა აქნევს.

ამიტომაცაა, მის ყოველ გამოსვლას, წარუმატებელსა თუ წარმატებულს, ჟურნალისტური ჰარი-ჰარალო რომ ახლავს. ამჯერად ერთი ამბავი სლოვაკი ჰენრიეტა ნაგიოვას მიერ მისი ძლევის გამო ატყდა. მზვარეში გამართულმა დაძაბულმა მატჩმა სამ საათს გასტანა და ფრანგის ასაოტებლად სლოვაკს 20 გეიმის მოგება მოუხდა.

და კიდევ — რაც ალბათ ყველაზე მთავარია.

ტურნირზე ჩოგნაობას ეშურება შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, ამჟამად ქალთა რეიტინგსიაში მერვე ადგილზე მდგომი, მაგრამ ნიჭიერების თვალსაზრისით ალბათ დასტურ პირველოსანი.

ეს მისი პირველი გამოჩენა იქნება მაისში კოჭზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ.

საწერ-საამბობელიც მერე ნახეთ!

ჰო, მართლა — შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსია. იმ ფინალში მას ჯენი კაპრიატი შემოემარცხა.

**ლევან ბელაშრაძე**



# გაიცანით: პარადორნ ჩანაჩაის ძე შრიჩაფანი

*როცა საუბარი ჩოგბურთზეც ჩამოვარდება ხოლმე, საქმეში თუნდაც ჩაუხედავმა კაცმა ეგებ პარადორნ შრიჩაფანიც გაიხსენოს. და – ვაგლახ – ეს არა მისი გამორჩეული მიღწევების, არამედ უწინარესად მისი ეგზოტიკური გვარ-სახელის გამო*

სააგენტო „როიტერმა" როგორღაც შანსი მოგვცა, ამ ეგზოტიკური „ჩოგნისთვის შალითა შემოგვეცალა" და თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ოდნავ მაინც გაგვეგებინებინა ის, თუ ვინ არის და რა არის ეს 23 წლის ტაილანდელი ჭაბუკი.

გალმალამანწელ კოლეგებს კი მასზე გამორჩევით წასაუბრების სურვილი ძირითადად მას შემდეგ გაუჩნდათ, რა რომ ამ ნაკვთებდაბუშტულმა აზიელმა მეჩოგნემ წლევანდელი უიმბლდონის მეორე წრიდან სეტისწაუგებლად გააბუნძურა ვინმე კი არა, თავად ანდრე აგასი.

პარადორნი ამბობს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისაა.

ოღონდ ის, რაც ამ დასაწყისს სამომავლოდ უნდა მოჰყვეს, ჩვენი საზომებით ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. მსოფლიოში 53-ე ჩოგნის მქნეველი და აზიის უცილო პირველოსანი თურმე მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ კარიერა როგორმე ზეორმოცდაათეულში გაასრულოს.

ჩემს ამჟამინდელ ფორმაში აგასის კი არა, ნებისმიერს გავუმკლავდებიო, უამბიციო სამომავლო გეგმების მიუხედავად მაინც ასე იმუქრება და დასძენს, რომ კარგი იქნება, თუკი წლეულს ერთი ტურნირის მოგებას მაინც მოახერხებს.

მისი თქმით, აგასიზე გამარჯვება ყისმათი კი არ იყო, არამედ შედეგი მისი მზარდი გამოცდილებისა, რაიც მას მუდამ უმაღლეს დონეზე გარჯით ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ნაღდაგ ძლიერ მოთამაშეთა წრეში ტრიალით უგროვდება.

აგასიმდე მან კიდევ ერთ დავლათიანს (ქარიზმატულს) მოსცხო. ეს მისი ბავშვობის კერპი მაიკლ ჩანგი გახლდათ, რომელიც პარადორნმა მარტში ორჯერ გამოიჭირა და, ცუდ ფორმაში მყოფს, ორჯერვე დაუნდობლად უბაგუნა.

თუ რატომაა ჩანგი მისი კერპი, ამას ამ გვერდზე წარმოდგენილ ფოტოგმირთა ზედაპირული ანთროპოლოგიური შეპირისპირებითაც მიხვდებით — ჩია ჩანგიც ხომ აზიური წარმომავლობის კაცია.

ამ წარმატებებმა და საერთოდაც, სტაბილურმა ჩოგანმხნეობამ პარადორნს აზიაში უამრავი ქომაგი შესძინა.

მას მამამისი, პატივცემული ჩანაჩაი შრიჩაფანი წვრთნის. კაცი, ვინაც ჯერ საკუთარი თავი განსწავლა, ხოლო შემდეგ წლობით ნაგროვები საჩოგნაო ცოდნა თავის სამ ვაჟს გაუზიარა.

„სამივე ჩემი ვაჟი ნაციონალურ სამოყვარულო დონეზე ჩემპიონები გახლავან — სიამაყე გამოკრთის პატივცემულ ჩანაჩაის ხმაში — მაგრამ როცა პროფესიონალურ ჩოგბურთში გადაინაცვლეს, უფროს ორს ჩოგნის გაგდება და მერხთან მიჯდომა მოუხდა, რაკიღა ტაილანდში მათი დაფინანსება არარავის სურდა".

ძმათაგან უმრწემესი პარადორნი კი, რომელმაც ბურთაობა 6 წლისამ დაიწყო, უფროს ძმებზე ნიჭიერი გამოდგა და მათი მორევა უკვე 15 წლიდან ცალი ხელით ჩოგანეწიფებოდა.

„როცა უფროს ძმებს მოუგო, მივხვდი, პროფესიონალურ ასპარეზზე ეს ბიჭი ამათზე მეტის გამკეთებელია-მეთქი" — ამბობს პატივცემული ჩანაჩაი.

თურმე მამის გული არა სცდებოდა.

პროფესიულ ამქარში პარადორნი 1997 წელს, 18 წლისა გაერთიანდა. ძალიან მალე მისი დაფინანსების სურვილი ერთმა ამერიკელმა მეფუტემ გამოთქვა.

პატივცემულ ჩანაჩაის მწვრთნელობას პარადორნი ვერასგზით ელევა.

„მამაჩემი მსოფლიო დონის მწვრთნელია — განმარტავს იგი — ჩვენი ურთიერთობა არაკომერციულია. ორივენი იმ რიცხვმცირე გუნდის წევრები ვართ, რომელმაც უკვე რამდენიმე ბობოლა მოთამაშის დამარცხება შეძლო. ჩვენ ერთად დავიწყეთ და ერთადვე გავაგრძელებთ".

ყოველდღიური ოფლიანი გარჯის გარდა, წარმატების მოპოვებას პარადორნი სხვა მეთოდებითაც ცდილობს — მარადღე ლოცულობს და სათამაშოდ გასვლისას კორტს ემთხვევა ხოლმე.

„როგორც კი ახლო-მახლო ბუდისტურ ტაძარს დავიგულებ, უმალვე იქ მივდივარ, რათა ზენა ძალებს ტრავმებისაგან დაცვა და კორტზე შეწევნა შევთხოვო".

მართალია, ალიარებს, რომ აგასისთან მატჩის წინ კორტთმჩხიბაობის რიტუალი არ ჩაუტარებია, თვლის, რომ გამარჯვება მას იმ ბუდისტურმა შანამ მოუტანა, რაიც მას მატჩამდე პატივცემულმა ჩანაჩაიმ უბოძა.

„ეს შანა სკამზე მედო და საოცარი ძალით მმუხტავდა" — დასძენს პარადორნი.

„გამორჩეული საჩოგბურთო ტალანტი კარგი პასპორტი იქნება მისთვის, რათა მომავალში საჭირო განათლება და სარფიანი სამუშაო იშოვოს" — პატივცემული ჩანაჩაი დასტურ ბრძენი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**ლევან ბელაშრაძე**



# მშია!

## შეგვიანებული სადილის გამო მაიკ ტაისონს კინაღამ კაცი შემოაკვდა

**გუშინ** გამოირკვა, რომ მაიკ ტაისონი დანით გამოკიდებია თავის პირად მცველს. ინგლისური გაზეთი „მირორი" იუწყება, რომ ტაისონისთვის სადილი შეუგვიანებიათ და ამიტომაც გამხეცებულა.

„ეტყობა, ძალიან შიოდა", გვიამბობს ერთ-ერთი მოწმე: „პირადი მცველები მართლაც ზოზინებდნენ". ეს ამბავი დატრიალებულა ქალაქ სანტა მონიკაში, სასტუმრო „შათერზში". იქაურობა ტაისონის ღრიალს შეუძრავს.

„ტაისონი გამუდმებით იგინებოდა, ყველას გვაგინებდა", ამბობს „შათერზის" მზარეული.

შემთხვევის ადგილზე მოსულ პოლიციას აღარაფერი უქნია, რადგან მაიკი და მისი ამალა იქ აღარ დახვედრია.

ტაისონის მდივანმა ჯეფ უოლდმა კი განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და ყველას სურს ტაისონზე ხელის მოთბობა.

ზოგადად, რკინის მაიკი გამხეცებული ჩანს. ამასწინათ იმიჯმეიკერებიც გაქცევიან, მაინც სულ იგინება და ჩვენ არაფერს გვიჯერებსო. მერე ერთი ჟურნალისტი ქალისთვის უთქვამს, შენისთანებს ჯერ ვჭამ და ინტერვიუს მერე თუ ვაძლევო.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კასპაროვი მზრაელებს მილიონზე ეთამაშება

**გარი კასპაროვი** ოქტომბერში კომპიუტერის დაშამათებას შეეცდება. ადამიანის და ხელოვნური ინტელექტის დაპირისპირება ისრაელში 1-13 ოქტომბერს გაიმართება და თუ კასპაროვი წამში მილიონი კომბინაციის გადამთვლელ მანქანას „ბოლს აადენს", 1 მილიონი ამერიკული დოლარით გამდიდრდება.

იდეა კომპიუტერების მწარმოებელ ისრაელურ ფირმას ეკუთვნის, კასპაროვის მეტოქეს „ჯუნიორი" ჰქვია. კასპაროვს ზემეხსიერების მქონე საჭადრაკო მანქანისთვის აღრეც რამდენჯერმე მოუსინჯავს ხელოვნური ინტელექტი. მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონს ერთობ გაუჭირდა და თუ ადამიანებში ბადალი არ ჰყავდა, კომპიუტერთან რამდენიმე ბრძოლა დათმო.

კასპაროვ — „ჯუნიორის" პარალელურად ისრაელში „მშვიდობის მატჩად" მონათლული საჭადრაკო დაპირისპირება შედგება. კუბოკრულ დაფებს 100 ებრაელი და ამდენივე პალესტინელი ბავშვი მიუჯდება.

**ბაჩო სვანიძე**



# შხამრხული თემა

## ცოლის ბედი ქმრის შარდზე ჰკიდია

**დიდი ხანი** არაა, წლევანდელი ტურ დე ფრანსის ლიტველი მესამეადგილოსნის, რაიმონდას რუმსასის მეუღლეს ედიტას მანქანაში აკრძალული პრეპარატები უპოვეს. ანტისადოპინგო კომიტეტმა, ცხადია, ეჭვი მის პრიზიორ ქმარზე მიიტანა. თავად ქალბატონი კი კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედი მრბოლის შესაძლო ხელშეწყობის ბრალდებით საფრანგეთის პოლიციამ ციხეში გამოკეტა. ჯერაც ფრანგულ გისოსებს მიღმა მოყურყუტე ედიტა გუშინ კარგ ამბავს შეიტყობდა, მისი ქმრის პირველმა სადოპინგო შემოწმებამ სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალულ ნივთიერებათა კვალს ვერ მიაგნო.

ტესტირების ორგანიზატორები ლიტვის სპორტის სამინისტრო და ოლიმპიური კომიტეტი იყვნენ, შემმოწმებლები შვედეთის ჰიუდინგის ლაბორატორიის სპეციალისტები, რომლებმაც ზემოთ ნახსენები დასკვნა გამოიტანეს.

ახლა ტესტის შედეგის გადასამოწმებლად რუმსასის შარდზე გერმანიაში, კრეიშას ლაბორატორიაში წაიმუშავებენ და თუ იდენტურ პასუხს მიიღებენ, რუმსასი ედიტას, ედიტა კი დღის სინათლეს იხილავს.

ლიტვის ანტისადოპინგო ჯგუფის ხელმძღვანელი რიმა ბერლოვენე რუმსასისა და ედიტას უბრალოებაში დარწმუნებულია. მისი თქმით, გამორიცხულია, გერმანიაში განსხვავებული შედეგი მიიღონ.

**ირაკლი ბერტაია**



ედიტა და რაიმონდასი მალე ალბათ ისევ ერთად იქნებიან


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.

ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186




# მურხიტის რეკორდები უპატრონოდ დარჩა

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) ბელგიელი მორბენალი მოჰამედ მურხიტი სამწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

წარმოშობით არაბმა ბელგიელმა წლეულს მაისში დოპინგ-ტესტი ჩააფლავა. მურხიტს სისხლში აკრძალული პრეპარატის, ერითროპოეტინის კვალი უპოვეს. განმეორებითმა ტესტმაც იგივე დაადასტურა და მორბენალიც IAAF-ის დოპინგ-ტრიბუნალმა გაასამართლა.

მურხიტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, მასვე ეკუთვნის ევროპის სამი რეკორდი: 3000, 5000 და 10000 მეტრზე რბენაში.



მოჰამედ მურხიტი სამი წლით გააჩერეს

# ფოსეტი კვლავ ცაშია



REUTERS

ვინ არ იცნობს ამერიკელ მილიონერ სტივ ფოსეტს, ფათერაკების მოყვარულ კაცს, რომელმაც ამის წინათ მეექვსე ცდაზე შემოუფრინა დედამიწას საჰაერო ბურთით. ახლა ფოსეტსა და მის ტექნიკოსებს ისეთი პლანერი მოუგონიათ, 30 ათას მეტრზე რომ უნდა ილივლივოს ცაში. ფოსეტს კომპანიონიც ჰყოლია, ეინარ ენვოლდსონი და პირველი და სახიფათო გაფრენაც ერთად მოუხერხებიათ. პლანერით ატმოსფეროს საზღვართან ტრიალი ხუმრობა სულაც არ არის, მაგრამ ამ კაცისთვის ზღვარი არ არსებობს. გამოცდა შედგა! მამაცმა ფათერაკის მაძიებლებმა დაგეგმილის სანახევრო სიმაღლე აიღეს და ახლა თანდათანობით გაუმჯობესებისთვის იმუშავებენ.





# ვაჰ, დრონი, დრონი

ეჰ, ასეა და რას იზამ, ერთ დროს ბრწყინვალე ქალაქი სარაევო, ახლა ვეღარ არის ძველებურად მოვლილი და ლამაზი. „გრბავიცას" სტადიონის სულ სხვა დროებაც ახსოვთ „ჟელეზნიჩარის" აწ თვალსჩვდიან მოხუც ქომაგებს. თავად სტადიონი კი გამოჭმული და გაძარცულია. თუმცა, „ჟელეზნიჩარი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში მონაწილეობს და ინგლისიდან დაძრულ „ნიუკასლს" მასპინძლობს.





REUTERS



REUTERS

# არა როდეო!

მხარი დავუჭიროთ რქოსან პირუტყვს! — მოგვიწოდებს მსახიობი და მომღერალი ბონი ჯილ ლაფლინი, რომელიც შეერთებია როდეოს საწინააღმდეგო კამპანიას. ამ კამპანიის დევიზია: „არ მოგვწონს რვაწამიანი მხედრობა". აქვე მოგახსენებთ, რომ როდეოს საერთო ამერიკული ფინალი ლას ვეგასში ჩატარდება დეკემბერში.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კალაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღლონტაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge